პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 251 (5052) | სამშაბათი, 2 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

აღმოვფხვრათ ხალხის მტრები—ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მავნებლები, უცხოეთის ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებული აგენტები! სისხლიანი სამშობლოს მოღალატეებს!

ბოლომდე ვამხილოთ ყველა და ყოველგვარი თვალთმაქცი! გავამაგროთ ჩვენი პარტია ბოლშევიზმის უძლეველ ციხე-სიმაგრედ!

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლიანობის გადიდების აუცილებელი პირობა

საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალედ გამარჯვებამ, მსხვილი სოციალისტური მეურნეობის—კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების—სისტემის ურყევად გაბატონებამ ყველა პირობა შეჰქმნეს მაღალი მოსავლის მიღებისათვის. სოფლის მეურნეობის შეიარაღებამ უახლესი პირველხარისხოვანი მანქანებით და იარაღებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალება მისცეს მიწა კულტურულად დაამუშაონ.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო გლეხთა ჩაგვრას, გაათავისუფლა ისინი კულაკური კაბალისაგან. განხორციელებულია გლეხთა ნატვრა მიწაზე. სტალინური კონსტიტუციისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე მიწა კოლმეურნეობათა განკარგულებაშია. სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით აღნიშნულია: „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრებათ მათ უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში, ესე იგი სამუდამოდ".

საქართველოს კოლმეურნეობებს ამ წლის პირველი ოქტომბრისათვის სახელმწიფო აქტით უვადო სარგებლობაში გადაცემული აქვთ 2.270.816 ჰექტარი მიწა. ამჟამად მშრომელი გლეხობის განკარგულებაშია 4.063.843 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გეგმიანი ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით.

კიდევ უფრო მაღალი და მყარი მოსავლიანობის მისაღწევად საჭიროა სწორი თესლბრუნვის დანერგვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თესლბრუნვა მაღალი და მყარი მოსავლიანობის მძლავრი პირობაა.

მიწსახკომსა და ზოგიერთ რაიონულ სამიწათმოქმედო ორგანოებში მოკალათებული ხალხის მტრები განზრახ აფერხებდნენ ჩვენში სწორი თესლბრუნვის განხორციელებას. ფაქტიურად საქართველოში თესლბრუნვა ჩაფუშული იყო. საკოლმეურნეო წყობილების უბოროტესი მტრები მთელ რიგ კოლმეურნეობებს აძლევდნენ თესვის ისეთ დავალებებს, რომელნიც არ ეფარდებოდნენ თესლბრუნვას. ხშირად ეს დავალებანი აღემატებოდა თესლბრუნვით გათვალისწინებულ დავალებებს და ამიტომ თესლბრუნვა მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. ასე ხდებოდა, მაგალითად, ხაშურის, გორისა და კასპის რაიონებში.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ სწორი თესლბრუნვის შემოღებას, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას ემსახურება. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმმა განიხილა საკითხი სწორი თესლბრუნვის შემოღების შესახებ. სწორი თესლბრუნვის შემოღების პროექტი, შეტანილი სსრ კავშირის მიწსახკომისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისიის მიერ, პლენუმმა მოიწონა ძირითადად პრესაში გამოსაქვეყნებლად და მის ყოველმხრივ განსახილველად იმ პირობით, რომ საკითხი ხელმეორედ იქნას განხილული ცენტრალური კომიტეტის შემდგომ პლენუმზე.

სწორი თესლბრუნვის პროექტის გამოქვეყნებიდან თითქმის სამნახევარი თვე გავიდა. ამ პროექტის განხილვა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ჯერ კიდევ პარტიის მე-17 ყრილობაზე დიდი **სტალინი** ამბობდა: „სოფლის მეურნეობის ერთერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორ თესლბრუნვათა შემოღება"...

როგორც სჩანს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, საქმიწსახკომსა და რაიმიწგანებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნა დიდი ბელადის ამ მითითებიდან. განა თესლბრუნვის შეუფასებლობის შედეგი არ არის ის, რომ პროექტის განსახილველად ადგილებზე ჯერ კიდევ მობილიზებული არ არის კოლმეურნეთა ფართო მასები და სპეციალისტები. [illegible], ბორჩალოსა და ყარაიას რაიონები ამ მხრივ დაუშვებელ უდარდელობას იჩენენ. იქ ჯერ კიდევ არ გაჩაღებულა პროექტის განხილვა-დამუშავება.

კასპის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ხაშურის, გორის, ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში არ დაუმთავრებიათ პრაქტიკულ წინადადებათა შეგროვება ამ საკითხის ირგვლივ.

მიწსახკომის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც ამჟამად მხილებულია, როგორც ხალხის მტერი—ყოველმხრივ აჭიანურებდა სწორი თესლბრუნვის სამუშაოებს. მტრის მავნებლური ხელი თესლბრუნვაში იქიდანაც სჩანს, რომ მიწსახკომმა მხოლოდ 8 რაიონს დაავალა სწორი თესლბრუნვის პროექტის განხილვა-დამუშავება. გამოდის ისე თითქოს სწორი თესლბრუნვის შემოღება სხვა რაიონებს არ ეხებოდეს. ეს აშკარად მავნე დირექტივაა და ამთავითვე უნდა იქნას იგი აღკვეთილი.

მიწსახკომის თესლბრუნვის ჯგუფი თავს ვერ ართმევს მუშაობას. საქმეს ისიც ვნებს, რომ თესლბრუნვის ჯგუფი დაკომპლექტებული არ არის სათანადო კვალიფიციური სპეციალისტებით.

სწორი თესლბრუნვის პროექტის მიხედვით 1942 წლისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში ახალი სახნავის ათვისების გეგმა გათვალისწინებულია 90 ათასი ჰექტარის რაოდენობით. ეს უნდა მოხდეს უმთავრესად ყამირი მიწების გატეხვის გადიდების, მიტოვებული მიწების ათვისების, ამოძირკვისა და ბუჩქებისაგან გაწმენდის ხარჯზე. სამიწათმოქმედო ორგანოების ვალია მაგრად მოჰკიდონ ხელი ამ სერიოზულ სამუშაოს.

სწორი თესლბრუნვის დანერგვისათვის საჭიროა წინამორბედ კულტურათა ზუსტად გამორკვევა. სწორი თესლბრუნვის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგროტექნიკის საკითხების საფუძვლიანად შესწავლას. მხედველობაში გვაქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა ანეული, აოშვა, მძრალად ხვნა, საუკეთესო ჯიშიანი თესლით თესვა და სხვა. ყველა ეს საკითხი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა გადაიჭრას.

სწორი თესლბრუნვის პროექტი ითვალისწინებს ბალახმინდვროვანი თესლბრუნვის შემოღებას. ამით დიდდება მარცვლეულის პროდუქციის მოცულობა. ასეთი სახის თესლბრუნვა ხელს უწყობს მზარდი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. გარდა ამისა, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას.

ბალახმინდვროვანი თესლბრუნვის შემოღება ახალი საქმეა და იგი საფუძვლიან განხილვას მოითხოვს. ამოცანა ის არის, რომ სწორი თესლბრუნვის პროექტი ფართოდ გავაცნოთ კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს. უნდა მოეწყოს პროექტის დაწვრილებითი განხილვა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და სპეციალისტთა აქტიური მონაწილეობით, ვინც პროექტის განხილვას აჭიანურებს, იგი ხელს უშლის ამ პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებას.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში დიდი მუშაობა მოგვილის. ამხ. ლ. ბერიას საბრძოლო დავალება 1940 წლისათვის საქართველოს მოთხოვნილების ძირითადად საკუთარი პურით დაკმაყოფილების შესახებ მოითხოვს ჩვენგან, რომ მეთესლეობისა და სელექციის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებასთან ერთად სოციალისტურ მინდვრებზე დავნერგოთ წესიერი თესლბრუნვა.

საზღვარგარეთის პრესა წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ სსრ კავშირში

პრაღა, 31 ოქტომბერი (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის მუშური პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების სამზადისს. გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს და დაწვრილებით ცნობებს იმ კრებების შესახებ, რომლებიც იმართება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და რომლებზედაც იხილავენ უზენაესი საბჭოს კანდიდატურებს. აქვე აქვეყნებენ გამოჩენილ კანდიდატების გვარებსა და მათ დახასიათებებს. გაზეთი „გალო ნოვინი" სწერს, რომ არჩევნები საბჭოთა კავშირში საფუძვლით განსხვავდება არჩევნებისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებში. „საარჩევნო კამპანია სსრ კავშირში,—სწერს გაზეთი,—აერთიანებს საბჭოთა ყველა მოქალაქეს ერთიანი მიზნით. მათს ურთიერთ თანამშრომლობაში იზრდება საბჭოთა ხალხების დიადი, ერთიანი და ერთსულოვანი ოჯახი".

ვენა, 30 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „ფრაიჰაიტი" — შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ორგანო — აქვეყნებს დაწვრილებით ცნობას საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ საბჭოთა კავშირში, ხაზს უსვამს რა, რომ „კრებები საწარმოებსა და კოლმეურნეობებში უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს" და რომ „მშრომელნი უდიდესი ენტუზიაზმით მიესალმებიან ამხანაგ სტალინის, კალინინის, მოლოტოვისა და სხვათა კანდიდატურებს, რომლებიც წამოყენებულია წინასაარჩევნო კრებების მიერ".

ქ რ ო ნ ი კ ა

ბრიუსელის კონფერენციაზე დელეგატებად დანიშნული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი და სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი გაემგზავრნენ მოსკოვიდან.

დელეგაციაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბელგიაში ამხ. ე. ვ. რუბინინი.

(საქდესი).

წერილი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სტალინური ეპოქის ამ შესანიშნავ დღეებში, როცა ბედნიერი საბჭოთა ხალხი ყველაზე საუკეთესო, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს ასახელებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებად, ჩვენ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დიდი გრომის სტალინის სახელობის, ბერულის ცხაკაიას სახელობის, დიდმუხისა და ავნევის კოლმეურნეობათა კოლმეურნეებმა და კოლმეურნე-ქალებმა წინასაარჩევნო კრებებზე ერთსულოვნად და უდიდესი ენტუზიაზმით დავასახელეთ კავშირის საბჭოს დეპუტატად თქვენ, ჩვენი საუკეთესო მეგობარი, მასწავლებელი და დიდი ბელადი.

სამხრეთ-ოსეთის თვითეული მშრომელი, ისევე როგორც ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა მშრომელი, თავისთვის დიდად სასახელოდ და საამაყოდ სთვლის ხმა მისცეს იმას, ვინც უზრუნველჰყო საბჭოთა ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრება, ვისაც ძლევამოსილად მივყავართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, ვისი ხელმძღვანელობითაც განადგურებულ და გაცამტვერებულ იქნენ ხალხის მტრები — ფაშიზმის ტროცკისტულ-ბუხარინული, დივერსიულ - ტერორისტული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდები.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი დაუზოგავად სპობენ ხალხის მტრების ნაბოლარებს და სიტყვას აძლევენ საქ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად თქვენ, რომ შემდეგში, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან რა ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. ლავრენტი ბერია, მტკიცედ იდგომებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდეს მონაპოვართა სადარაჯოზე.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! ზემოთჩამოთვლილ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისა და კოლმეურნე-ქალების დავალებით, გთხოვთ დათანხმდეთ და კენჭი იყაროთ ჩვენს ოლქში.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

კოლმეურნეების და კოლმეურნე-ქალების სახელითა და დავალებით:

ა. ტუაევი, რ. ბერუაშვილი, გ. ბესტაევი, ეკატერინე ბერუაშვილი, მ. მაისურაძე, ლ. ბერუაშვილი, ა. პილიევი, კ. ბერუაშვილი, გ. ვ. ვახტანგიშვილი, გ. გაბარაევი, ნ. ბერუაშვილი, ი. რომელაშვილი, ს. ტადტაევი, სიქტურაშვილი, ლ. დურგლიშვილი.

ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ბერიას სახელობის მილიონერ-კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა წამოაყენეს ამხანაგი ლ. ბერიას კანდიდატურა

დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ბერიას სახელობის მილიონერ-კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო საერთო კრება.

— შემომაქვს წინადადება, —ამბობს ამხ. ბრაუნი,—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ დიდი სტალინის ერთგული მოწაფე, მედგარი ბოლშევიკი ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომლის სახელს ჩვენი კოლმეურნეობა სიამაყით ატარებს.

ერთიმეორეზე გამოვიდნენ კოლმეურნენი: ორდენოსანი ერნსტ კუგელი, სტახანოველი მართა ცელლერი, ვილგელმინა შლეხტი, ჰენრიხ ბრაუნი, ზაუტერი, აგრონომი კაკულია და სხვები.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა ლ. ბერიამ, —ამბობს ორდენოსანი ერნსტ კუგელი, — დიდი როლი შეასრულა ამიერ-კავკასიაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მართებულად გატარების საქმეში, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხთა ძმური თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში.

—მე მხარს ვუჭერ ამხანაგ ბერიას კანდიდატურას კავშირის საბჭოს დეპუტატად.

— ამხანაგ ბერიას სახელოვანმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ, ამბობს ამხ. ზაუტერი, საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ააყვავა.

ამხანაგი ლ. ბერია გვინერგავს შეურიგებლობასა და სიძულვილს ხალხის მტრებისადმი, მძაფრ რევოლუციურ სიფხიზლეს ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშების საზიზღარი ოინების მიმართ.

კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — „ერთსულოვნად ვასახელებთ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ლ. ბერიას და გთხოვთ შენ, ამხანაგო ლ. ბერია, კენჭი იყარო ჩვენს საარჩევნო ოლქში".

◇

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. კუიბიშევი—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია

გაცხოველებით ჩატარდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის, პოლიტსამმართველოს და საოლქო განყოფილების მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, მეომართა და ნებითდაქირავებულთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურის განხილვას.

წინასაარჩევნო კრებამ, გაუგზავნა რა მისალმება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს—დიდ სტალინს, აგრეთვე მის ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს—თავდაცვის რკინის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ვოროშილოვს,—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, კორპუსის მეთაური ამხანაგი ნ. ვ. კუიბიშევი.

O

ამხანაგ ნიკოლოზ ვლადიმირის-ძე კუიბიშევი მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე სარდლობდა მსროლელთა მე-9 დივიზიას. ამ დივიზიამ ცოტა ბრწყინვალე ფურცლები როდი ჩასწერა სამოქალაქო ომის ისტორიაში, საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ისტორიაში. დივიზიამ ამხ. კუიბიშევის სარდლობით მოახდინა სამხედრო ისტორიაში უმაგალითო გადასვლა ქერჩის გაყინულ სრუტეზე.

ამხანაგი კუიბიშევი საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ოთხი ორდენით, მათ შორის წითელი დროშის სამი საბრძოლო ორდენით.

დოლორეს იბარურის მისალმება სსრ კავშირის მშრომელთადმი

ვალენსია, 30 ოქტომბერი (საქდესი). დოლორეს იბარურიმ შემდეგი მისალმებით მიმართა სსრ კავშირის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის გამო: „დიადი სოციალისტური სამშობლოს ძმებო! თქვენ ღრმა სიხარულითა და კმაყოფილებით იდღესასწაულებთ თქვენი განმათავისუფლებელი რევოლუციის 20 წლისთავს.

ჩვენ კი ვცხოვრობთ ომის საშინელებათა პირობებში, სისხლიანი ბრძოლის პირობებში, რომელიც წარსულისა და მომავლის ძალებს შორის, მშვიდობიანობისა და პროგრესის ძალებს შორის ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს.

ამ დღეებში, რომლებიც ესოდენ საზეიმო დღეებია თქვენთვის და ესოდენ სასტიკია ჩვენთვის, გიგზავნით ჩვენს მგზნებარე რევოლუციურ სალამს, ხმას ვუერთებთ რა შეძახილს, რომელიც მოისმის ჩვენი გმირების სისხლით მორწყული სანგრებიდან:

„გაუმარჯოს სსრ კავშირს, გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს—გმირული ესპანეთის დამცველს! გაუმარჯოს თავისუფალსა და დემოკრატიულ ესპანეთს!"

1937 1937
12
სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე
ყველა სსრ კავშირის
უზენაეს საბჭოს არჩევნებზე!

თბილისი. № ლეგიონში ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა. სურათზე: ლეგიონის კლუბში კედელზე აკრავენ საარჩევნო პლაკატს.

ფოტო ზუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მაგნიტოგორსკი, ჩელიაბინსკის ოლქი

მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედო საამქროს კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა კომბინატის დირექტორი პავლე ივანეს-ძე კორობოვი

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედო საამქროს მუშათა, მუშაქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრებას დაესწრო 325 კაცი. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედო საამქროს მუშები, მუშაქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, შევიკრიბეთ რა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების საკითხის განსახილველად, მხურვალე სალამს ვუძღვნით საყვარელ, ძვირფას მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

ჩვენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად ვასახელებთ მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის კომბინატის დირექტორს ამხანაგ პავლე ივანეს-ძე კორობოვს და ვთხოვთ მას დასთანხმდეს და კენჭი იყაროს ჩელიაბინსკის საარჩევნო ოლქში.

სანიმუშო, ერთგული მუშაობისათვის წარმოებში ამხ. კორობოვი მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ვასახელებთ რა ამხ. კორობოვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ჩვენ, მებრძმედეები, ვკისრულობთ ვალდებულებას კიდევ უფრო გავადიდოთ თუჯის გამოდნობა და გავხადოთ ჩვენი საამქრო მოწინავე საამქროდ საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ საწარმოთა შორის.

ჩვენ მოვუწოდებთ მაგნიტოგორსკის კომბინატის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს და მოსამსახურეს და ჩვენი საარჩევნო ოლქის ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ ჩვენს წინადადებას და ხმა მისცენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ამხ. კორობოვის არჩევას.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხანაგ სტალინს!".

მაგნიტოგორსკი, 31.

ც ნ ო ბ ა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის-საქალაქო საოლქო საარჩევნო კომისია № 119 მოთავსებულია შტაბის ქუჩაზე, № 4/6, მესამე სართული, ოთახი №№ 1, 2, 3, 4. ტელეფონები №№ 3—65—64 და 3—65—86.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან, ინვალიდების სახლებთან და სხვა სამკურნალო დაწესებულებებთან საარჩევნო უბნების მოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რამდენიმე კორპუსიან საავადმყოფოებში ნებადართულია მოეწყოს საარჩევნო უბნები ცალკეულ კორპუსებთან, თუ თვითეულ მათგანში არის არანაკლებ 50 ამომრჩევლისა.

იმ საავადმყოფოებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების მიმართ, სადაც არ იქნება მოწყობილი ცალკე საარჩევნო უბნები, საუბნო საარჩევნო კომისიებს ეძლევათ უფლება გამოჰყონ კომისიების წევრები ბიულეტენების მისაღებად ამომრჩევლებისაგან თვით საავადმყოფოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში, რისთვისაც საჭიროა მიეცეს ამ საავადმყოფოებს ცალკე საარჩევნო ყუთები.

2. საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან და სხვა სამკურნალო დაწესებულებებთან შექმნილ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სიებში შეტანილ უნდა იქნან როგორც ავადმყოფი მოქალაქენი, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ და იმყოფებიან სახლებსა და სამკურნალო დაწესებულებებში არჩევნების დღეს, ისე სამედიცინო პერსონალი, რომელიც არჩევნების დღეს მორიგეობაზე იმყოფება.

3. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ ავადმყოფებს, რომლებიც იმყოფებიან ქუნთრუშითა და დიფტერიტით დაავადებულთა განყოფილებებში, აგრეთვე ლეპროზორიუმებში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი — ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრემლი
1937 წ. 1 ნოემბერი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა შორიგზის სამგზავრო მატარებლებში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შორიგზის სამგზავრო მატარებლებში, რომლებიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღეს, 1937 წ. 12 დეკემბერს, გზაში იქნებიან, იქმნება საარჩევნო უბნები ბიულეტენების მისაღებად ამომრჩევლებისაგან, რომელთაც აქვთ „ხმისმიცემის უფლების მოწმობა".

შორიგზის სამგზავრო მატარებლების საუბნო საარჩევნო კომისიებს ამტკიცებენ, თანახმად „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" 49 მუხლისა, ის საბჭოები, რომელთა რაიონშიც იქმნება საუბნო საარჩევნო კომისიები არჩევნების ჩასატარებლად შორიგზის მატარებლებში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი— ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრელი
1937 წ. 1 ნოემბერი.

ა. წ. 12 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე ძირითადი სამუშაოსაგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი 1937 წლის 12 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე თავისუფლდება თავისი ძირითადი სამუშაოსაგან მისი ხელფასის დატოვებით ძირითადი სამუშაოს ადგილის მიხედვით. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-სააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის პროცესი

30 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ მიხეილ ჩალმაზის დაკითხვა

სასამართლოს მეორე სხდომა დაიწყო აფხაზეთში მომქმედი კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-სააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის ერთერთი მთავარი ორგანიზატორის, ბრალდებულ მიხეილ ისლამის-ძე ჩალმაზის დაკითხვით.

თავმჯდომარე ამხ. ტ. ანთია—ბრალდებულო ჩალმაზ, უამბეთ სასამართლოს თქვენს მიერ ჩადენილი კონტრრევოლუციურ-ჯაშუშური საქმიანობის შესახებ.

ბრალდებული ჩალმაზი—კომუნისტური პარტიის რიგებში შევედი 1924 წელს. მას შემდეგ ვმუშაობ აფხაზეთში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. უკანასკნელად ვმუშაობდი აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად.

თავმჯდომარე—ჩვენ ეგ არ გვაინტერესებს, თქვენ გვიპასუხეთ, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ჩალმაზი — ყველა წარდგენილ ბრალდებაში თავს მთლიანად დამნაშავედ ვცნობ, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 19—58² მუხლით გათვალისწინებული ბრალდებისა. 1935 წელს ნესტორ ლაკობა თბილისიდან რომ დაბრუნდა, დამიბარა და დამიწყო საუბარი, საჭიროა დავიწყოთ ბრძოლა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას წინააღმდეგო. მე მის ასეთ წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე და მაშინ ლაკობამ საჭიროდ სცნო, რომ ჩვენ სხვა დროს მოგვეთათბირნა ამ ბრძოლის მეთოდების შესახებ. განვლო დრომ. ჩვენ ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ბრძოლა პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ დაგვეწყო მავნებლობის გზით. აფხაზეთი, როგორც მოგეხსენებათ, სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. აქ სახალხო მეურნეობის მთავარი, წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა და გასაგებია, რომ ჩვენ განვიზრახეთ მავნებლობა გაგვეჩაღებინა უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაში. თავდაპირველად საჭირო იყო არევდარევა გამოგვეწვია სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში. ეს იყო მთავარი, რადგან ამით ჩვენ მივაღწევდით სასოფლო მეურნეობის პოტენციური რესურსების არასწორად გამოყენებას. ეს თავისთავად გამოიწვევდა სოფლის მეურნეობის დაქვეითებას. სახელს გაუტეხდა პარტიისა და ხელისუფლების ყველა იმ ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია სახალხო მეურნეობის აღორძინებისაკენ, და ჩვენი მიზანიც მიღწეული იქნებოდა.

სოფლის მეურნეობას, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობს მიწსახკომი, ხოლო მიწსახკომის ხელმძღვანელად მე ვიყავი. ჩვენ დავგეგმეთ ისე, რომ სადაც მრავალწლიანი კულტურების გავრცელება იყო საჭირო, იქ ვავრცელებდით ერთწლიან კულტურებს. იმ რაიონებში, სადაც, მაგალითად, თამბაქო იხეირებდა, ვთესავდით არა თამბაქოს, არამედ სხვა კულტურებს. პარტიის დირექტივები კი სხვას ამბობდნენ: ჩვენ დავალებული გვქონდა გაგვეხორციელებინა რაიონების სპეციალიზაცია ცალკე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით. იმ მიზნით, რომ ეს დირექტივა არ შესრულებულიყო, ჩვენ რაიონების სპეციალიზაცია არ მოვახდინეთ. გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, მაგალითად, პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების მიხედვით, წამყვან კულტურად უნდა გვქონოდა ჩაი, ჩვენ კი ამ რაიონებში დავგეგმეთ თამბაქოს კულტურა და შევამცირეთ ჩაის ფართობები.

თავმჯდომარე—რატომ სჩადიოდით ამას?

ჩალმაზი—იმიტომ, რომ ასეთ რაიონებში თამბაქოს მოსავალი ყოველთვის უფრო ნაკლები იქნებოდა, თამბაქოს კულტურას სახელი გაუტყდებოდა და მოსახლეობაში უკმაყოფილება შეიქმნებოდა. გარდა ამისა, ვფიქრობდით, რომ ამით მივაღწევდით მიზანს, რათა რენტაბელური კულტურები აფხაზეთში არ გავრცელებულიყო. მთელი ამ კონტრრევოლუციური საქმიანობის შედეგად გუდაუთის რაიონის სტალინისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში საქმე ისე ავრიეთ, რომ ამ კოლმეურნეობებში როგორც იტყვიან ხოლმე, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. ჩვენ ვხელმძღვანელობდით კიდევ ერთი პრინციპით—სახელი გაგვეტეხნა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, დაგვებრკოლებინა იგი. უნდა აღვიარო, რომ ნესტორ ლაკობა და ჩვენ ყველანი კოლექტივიზაციის წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ მოსახლეობა კოლექტივებისაკენ ისწრაფოდა. რომ ეს მისწრაფება შეგვეჩერებინა, კოლმეურნეობებს ვაძლევდით ისეთ დავალებებს, რომელთა შესრულებაც მათს სამეურნეო-პოლიტიკურ დაქვეითებას გამოიწვევდა. გალის რაიონში, სადაც კოლექტივიზაციის პროცენტი მაღალია, სხვადასხვა კულტურების გავრცელებას ისე ვგეგმავდით, რომ საკოლმეურნეო შემოსავალი უმნიშვნელო ყოფილიყო, ხოლო ამავე დროს ერთპიროვნულ მეურნეობებს ყოველმხრივ ვუწყობდით ხელს, რათა მათი შემოსავალი გაზრდილიყო. გუდაუთის რაიონში, სადაც კოლექტივიზაციის პროცენტი ნაკლებია, კოლმეურნეობებს ისე ვტვირთავდით და ვავიწროვებდით, რომ შეუძლებელი იქნებოდა ერთპიროვნული მეურნეების მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ.

ლადარია და ნესტორ ლაკობა არასოდეს არ დაინტერესებულან გაეგოთ, თუ რა მდგომარეობა იყო სოფლად. ვამტკიცებ, რომ ლადარია და ნესტორ ლაკობა, ერთხელაც არ ყოფილან კოლმეურნეობაში, სანამ მე კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის წევრი გავხდებოდი მანამდეც ნესტორ ლაკობასაგან ხშირად მსმენია, აფხაზეთში კოლმეურნეობების ჩამოყალიბება მიზანშეუწონელი და არასასურველი ღონისძიებაა. ლაკობა მეუბნებოდა, საჭიროა როგორმე გვერდი ავუხვიოთ პარტიის დირექტივების შესრულებას, არ ჩამოვაყალიბოთ კოლმეურნეობები, რადგან აფხაზეთში რელიეფის ისეთი პირობებია, რომ კოლმეურნეობები არ უნდა იყვნენო. ერთხელ ლაკობას ვკითხე: მაინცდამაინც რატომ ხართ საკოლმეურნეო მშენებლობის ასე წინააღმდეგი-მეთქი? მან მიპასუხა — მე სულელი, არ იცი, რომ პარტიისა და ხელისუფლების ყველა დირექტივა თუ შევასრულე, მაშინ აქ აღარ ვიქნებიო! მე მისი პასუხის აზრს ვერ მივხვდი და მეტიც არაფერი მიკითხავს.

თავმჯდომარე—კიდევ რაში გამოიხატა თქვენი მავნებლური საქმიანობა?

ჩალმაზი—ნესტორ ლაკობა ჩვენ გვაძლევდა აგრეთვე დავალებას, რომ ხელი შეგვეშალნა აფხაზეთში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ჩამოყალიბებისათვის, ჩაგვეფუშნა ეს მშენებლობა. ლაკობა ტრაქტორის სასტიკი წინააღმდეგი იყო,—რა საჭიროა ეს ტრაქტორი, სადაა აფხაზეთში ისეთი ველები, რომ ტრაქტორმა იმუშაოსო. ლაკობას დავალებით, დიდხანს გავაჭიანურეთ მტს-ების ჩამოყალიბება, მაგრამ საბოლოოდ ეს დავალება მთლიანად მაინც ვერ შევასრულეთ და აფხაზეთში ტრაქტორები შემოვიდა. ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ჩასაფუშავად ბრძოლა არ შეგვინელებია. როცა დავინახეთ, რომ ტრაქტორი აფხაზეთში შესანიშნავად მუშაობდა, რომ ტრაქტორების შემოტანით ხალხი კმაყოფილი იყო და საკოლმეურნეო შემოსავალი იზრდებოდა, შევუდექით მავნებლობას ტრაქტორების ეფექტიურობის გასაქარწყლებლად.

გარდა ამისა, ჩვენ დავაბრკოლეთ და ნაწილობრივ ჩავშალეთ კოლმეურნეობებში მიწათმოწყობის საქმეც. მიწათმოწყობას ვანხორციელებდით იმგვარად, რომ დაგვექუცმაცებინა სათესი ფართობები, ახლომდებარე ნაკვეთები საკარმიდამოდ დაგვეტოვებინა, ხოლო სათესი მასივები კოლმეურნეობებისათვის სოფლებიდან დაშორებით მიგვეცა. უმეტეს ადგილებში ეს ღონისძიება განვახორციელეთ და მართლაც ეს ძალიან უშლიდა ხელს საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერებას. კოლმეურნეებს უხდებოდათ სამუშაოზე დილით ადრევე წასულიყვნენ,—შრომისათვის ყველაზე უფრო ეფექტიური დრო—დილა სიარულში გაეცდინათ და საღამოსაც ადრე დაბრუნებულიყვნენ. ეს იწვევდა კოლმეურნეთა მასების დიდ უკმაყოფილებას, მაგრამ ჩვენ მათ ვეუბნებოდით, რომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რადგანაც ამაში დამნაშავე ჩვენ კი არა, საქართველოს მთავრობა არის-თქო.

თავმჯდომარე—შეიძლებოდა თუ არა, მაინც გამოსწორებულიყო ეს მდგომარეობა?

ჩალმაზი—რათქმა უნდა, შეიძლებოდა. ამისათვის საჭირო იყო ადგილობრივ—მინდვრად მოგვეწყო კარვები, სადაც კოლმეურნენი ღამეს გაათევდნენ, იქვე მოგვეგვარებინა მათი კვება, და შრომის ნაყოფიერებაც გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა, მაგრამ ეს განზრახ არ გავაკეთეთ. გარდა ამისა, ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით დაგვემახინჯებინა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. ამ მიზნით საკარმიდამო ნაკვეთად კოლმეურნეებს ზოგ ადგილას ვაძლევდით ერთ, ერთნახევარ და ორ ჰექტარ ფართობსაც კი. წესდების ასეთი დამახინჯება მოვახდინეთ გუდაუთის, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. ეს იმიტომ რომ, როცა კოლმეურნეს დიდი საკარმიდამო ფართობი ექნებოდა, სამუშაო დროის დიდ ნაწილს ამ ნაკვეთის დამუშავებას მოახმარდა, ხოლო კოლმეურნეობა სეზონურ სამუშაოთა შესრულებაში ჩამორჩებოდა. ამ გზით ჩვენ მივაღწევდით კოლმეურნეთა დეზორგანიზაციას, შრომის დისციპლინის დარღვევას და გამოვიწვევდით მოსახლეობის უკმაყოფილებას.

თავმჯდომარე—მოახსენით სასამართლოს, ვინ მიიზიდეთ ამ მავნებლურ მუშაობაში და რა საშუალებებით იბირებდით ახალ ძალებს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ჩალმაზი—პირველ რიგში, როგორც მოგახსენეთ, არასწორი დაგეგმვის განხორციელება დავიწყეთ. ამ საქმეში ჩავაბი ვინმე ეგოროვი, რომელიც საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეებს განაგებდა და მუშაობდა მიწსახკომში. მას დავავალე კოლმეურნეობებისთვის მიეცა ისეთი გადიდებული გეგმები, რომელთა შესრულებასაც ისინი ვერ შესძლებდნენ. ეგოროვი ამ დავალებას ასრულებდა. ამავე დროს, ჩვენ ვანხორციელებდით სხვა მავნებლურ ღონისძიებებსაც და მართლაც 1935 და 1936 წლებში შრომადღის ღირებულება ბევრ ადგილას ნაცვლად ნავარაუდევი 30 მანეთისა, 3-4 მანეთს არ აღმატებია. დაგეგმვაზე მუშაობდნენ აგრეთვე ბესარიონ ნაყოფია, ფილიპენკო, ალიხანოვი, ლაკირბაია, პოლიაკოვი და სხვ. ზოგმა მათგანმა არც კი იცოდა, რომ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დირექტივით მუშაობდა და მავნებლურ ღონისძიებებს ანხორციელებდა. მე, როგორც კომისარი, მათ მავნებლურ დავალებებს ვაძლევდი, ხოლო ჩემს მიზნებს არ ვუმხელდი. ადგილებზე ჩემი ხალხი არ მყავდა, გარდა გაგრის რაიონისა, სადაც მიწგანის გამგედ ჩემს მიერ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბმული პავლე აროუთინის-ძე სეისიანი მუშაობდა.

თავმჯდომარე—გვიამბეთ, როგორ მიიზიდეთ სეისიანი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სამუშაოდ?

ჩალმაზი—იმ ხანებში, როცა მე იგი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სამუშაოდ მივიზიდე, იგი პასუხისგებაში იყო მიცემული. სეისიანი მოწყენილი და იმედგაცრუებული დადიოდა. პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი, რომ ამ კაცს ადვილად ჩავიგდებდი ხელში, თუ ორიოდე ტკბილ სიტყვას ვეტყოდი. მაშინ მე გავლენით ვსარგებლობდი, სეისიანს მხარი დავუჭირე, დავაიმედე და მოვიმადლიერე. შემდეგ კი მავნებლური მუშაობის შესრულება დავავალე. სეისიანთან ბევრი შრომის გაწევა არ დამჭირვებია იგი ადვილად დაეთანხმა ჩემს წინადადებებს და აქტიურად ჩაება მავნებლურ მუშაობაში.

თავმჯდომარე—დანარჩენები როგორღა ჩააბით ამ მუშაობაში?

ჩალმაზი—ვიცოდი, რომ ბესარიონ ნაყოფიას ბინა არ ჰქონდა. მე იგი დავიბარე, გამოვკითხე მისი ოჯახური მდგომარეობა და დახმარების სახით მივეცი 600 მანეთი, შემდეგ ვუთხარი—მისულიყო ცაკ-ში ლაკობასთან და დახმარება ეთხოვნა. ამავე დროს შევპირდი, რომ მეც მოველაპარაკებოდი მის შესახებ ლაკობას. მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მიიღო ლაკობამ და დახმარების სახით მისცა 1000 მანეთი. ნაყოფია ჩემი დიდი მადლიერი გახდა და მისი ასეთი დამოკიდებულებით ვისარგებლე.

ფილია უპარტიო კაცი იყო და თავი გაასაღა პარტიის კანდიდატად. შემდეგ, როცა პარტიული დოკუმენტების შემოწმება დაიწყო, ფილია ჩამოსულა სოხუმში, რაღაც ხრიკებით უშოვნია საკანდიდატო ბილეთი და დაბრუნებულა. აღმოჩნდა, რომ ეს საკანდიდატო ბილეთი ყალბი იყო და ამ საქმეზე ფილია დავიჭირე. მე ვუთხარი მას, რომ გავთქვამდი და დავღუპავდი, თუ ჩემს წინადადებებს არ დასთანხმდებოდა.

თავმჯდომარე—ახლა გვიამბეთ, სად რა მავნებლურ-დივერსიული აქტები შეასრულეთ?

ჩალმაზი—ჩვენ მავნებლობას ვეწეოდით უმთავრესად წამყვანი კულტურების ხაზით. თამბაქოს კულტურაში, მაგალითად, სათეს ფართობებს ცუდად ვანაწილებდით, ვიძლეოდით გადამეტებულ დავალებებს, ცუდად ვამარაგებდით მეთამბაქოეებს თესლით და რასაც ვაძლევდით, იმასაც უვარგისს; არაწესიერად და მავნებლურად ვანხორციელებდით მოსახლეობისაგან თამბაქოს მიღებას. კოლმეურნეებისგან პირველი ხარისხის თამბაქოს ვღებულობდით, როგორც მეორე და მესამე ხარისხისას, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეებისგან მეორე და მესამე ხარისხის თამბაქოს ვღებულობდით, როგორც პირველი ხარისხის თამბაქოს, ვფუშავდით საექსპორტო თამბაქოს დამზადების გეგმებს და სხვ. ამავე დროს ვატყუებდით პარტიასა და ხელისუფლებას, ვითომც თამბაქოს გეგმებს წარმატებით ვასრულებდით, და შეცდომაში შეგვყავდა მთელი ქვეყანა.

ციტრუსოვანი კულტურების ხაზით მავნებლობას ვანხორციელებდით უმთავრესად იმ მხრივ, რომ ეს კულტურები დაგვეღუპნა და მათი გავრცელება შეგვეფერხებინა. ციტრუსოვანთა გასაშენებლად დავალებებს ვაძლევდით არა საკოლმეურნეო სექტორს, არამედ უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებს.

მეცხოველეობაში ჩვენი მავნებლობა იმით გამოიხატა, რომ ჩავშალეთ საკვები ბაზის შექმნის საქმე. ყველამ იცის, რომ მეცხოველეობის განვითარება ისე წარმოუდგენელია, თუ საკვები ბაზა არ არსებობს. აფხაზეთში საზაფხულო საძოვრები ბლომად არის, მაგრამ ეს საძოვრები ისე გავანაწილეთ, რომ მათი ფართობის დიდი ნაწილი უნდა გაფუჭებულიყო და საძოვრად არ გამომდგარიყო. მეცხოველეობის განვითარების ჩასაშლელად დავაბრკოლეთ და ჩავფუშეთ პირუტყვის ბინების მშენებლობა. განსაზოგადოებული ბოსლების აგება ყველგან ჩავშალეთ. ამის გამო პირუტყვი თვითონ კოლმეურნეებს ჰყავდათ წაყვანილი, ისინი განსაზოგადოებულ პირუტყვს არ უვლიდნენ, რადგან ჩვენ ამაში ვაქეზებდით, და დიდძალი პირუტყვი იღუპებოდა.

სისტემატურად ვამახინჯებდით საგადასახადო პოლიტიკას. შეძლებულ მოსახლეობას და ღარიბებს გადასახადს ვახდევინებდით ან თანაბრად, ან ღარიბებს მეტს, ვიდრე შეძლებულებს.

სახელმწიფო ბრალმდებელი ვ. შონია—მოახსენეთ სასამართლოს, იცავდა თუ არა კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაცია ყოფილი მემამულეების, თავადაზნაურებისა და კულაკების ინტერესებს, ან რაში გამოიხატა ამ ინტერესების დაცვა?

ჩალმაზი — გუდაუთის ამბებში, რაც 1931 წელს მოხდა, მონაწილეობას ღებულობდა ყოფილი თავადი ზვანბაია. როცა დადგა საკითხი ზვანბაიას დაპატიმრების შესახებ, ნესტორ ლაკობა ამის წინააღმდეგ წავიდა. მე ვუთხარი, ზვანბაია უსათუოდ ანტისაბჭოთა კაცია და საჭიროა მისი დაპატიმრება-მეთქი. ამის გამო ლაკობა გამიწყრა და მითხრა, რომ ზვანბაიასთანა ხალხს მეტი მზრუნველობით უნდა მოვეპყროთ.

სახელმწიფო ბრალმდებელი—რას იტყვით, ბრალდებულო ჩალმაზ, გუდაუთში ანტისაბჭოთა გამოსვლის შესახებ?

ჩალმაზი—მე მაშინ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი არ ვიყავი და არც არაფერი ვიცოდი ამ გამოსვლის მოწყობის შესახებ. ვფიქრობდი, რომ გუდაუთის ამბები ჩვენი ცუდი მუშაობით იყო გამოწვეული. მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს იყო განზრახ მოწყობილი კონტრრევოლუციური გამოსვლა. ამ გამოსვლის ერთერთი ხელმძღვანელი იყო ებჟნოუ, შერიფ გიცბა და კიდევ სხვები, რომელთა ვინაობასაც ახლა ვერ ვიხსენებ.

სახელმწიფო ბრალმდებელი—აბა, კარგად გაიხსენეთ!

ჩალმაზი—ამ გამოსვლას ხელმძღვანელობდა კიდევ მიხეილ ლაკობა, ეჩიუ ამფარი და სხვები.

სახელმწიფო ბრალმდებელი — ხუსეინ ჩალმაზს ან ვარდანიას თუ იცნობ?

ბრალდებული ჩალმაზი—ხუსეინ ჩალმაზი ჩემი ბიძაა, ვარდანიასაც ვიცნობ. ორივე მონაწილეობდა ამ გამოსვლაში. კიდევ მონაწილეობდა ვინმე ბასი ბარციკი. ეს უკანასკნელი გავლენიანი კაცი იყო კულაკებში და იგი ამფარმა გააცნო ლაკობას.

სახელმწიფო ბრალმდებელი — მაშასადამე, თქვენ გცოდნიათ, რომ ბარციკი ლაკობასთან უკვე გაცნობილი იყო და ამავე დროს მონაწილეობდა გუდაუთის ამბებში. ალბათ, თქვენ იცოდით ამ გამოსვლის ორგანიზაციის შესახებაც!

ჩალმაზი—არა. არაფერი ვიცოდი.

სახელმწიფო ბრალმდებელი—(მიმართავს სასამართლოს თავმჯდომარეს)—ნება მომეცით შევეკითხო ბრალდებულ ინალ-იპას. ბრალდებულო ინალ-იპა, მოახსენეთ სასამართლოს, მართალს ამბობს თუ არა ჩალმაზი?

ბრალდებული ინალ-იპა—ჩალმაზი სტყუის. იგი კონტრრევოლუციურ სააჯანყებო ორგანიზაციაში ჩაება და მუშაობდა არა 1935 წლიდან, არამედ დაახლოვებით 1928—29 წლიდან. იგი გუდაუთის გამოსვლის ერთერთი ორგანიზატორი იყო.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ჩალმაზ, გაიხსენეთ, რა როლი შეასრულეთ თქვენ ამ გამოსვლის ჩაქრობაში?

ჩალმაზი — აი როგორ იყო საქმე: ნესტორ ლაკობას აგენტები დადიოდნენ სოფლად და ამბობდნენ, რომ ნესტორ ლაკობა ჩვენი დიდი მეგობარია, იგი წინააღმდეგია, რომ მთავრობამ ჩვენ დაგვბეგროს, შეგვაწუხოს, მაგრამ ამის სახალხოდ თქმას ვერ ბედავს და ამიტომ საჭიროა სოფლელებმა თვითონ ამოვიღოთ ხმა, მოვითხოვოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაგვანებოს თავი, არ შეგვაწუხოს და მაშინ ლაკობაც მხარს დაგვიჭერს და გავიმარჯვებთო. მე ეს ამბები გავიგე მაშინ, როდესაც სოხუმიდან მიმავლინეს გუდაუთის რაიონში აჯანყებულთათვის იარაღის ჩამოსართმევად. ჩამოვართვი მოსახლეობას 1500 თოფი, დიდძალი რევოლვერები, მაგრამ შემდეგ თითქმის ყველამ დაიბრუნა იარაღი ნესტორ ლაკობას საშუალებით.

სახელმწიფო ბრალმდებელი—მაშასადამე, თქვენ წახვედით გუდაუთის რაიონში იმისათვის, რომ მოსახლეობა დაგეწყნარებინათ, დაგემშვიდებინათ... ბრალდებულო ინალ-იპა, მართალს ამბობს ჩალმაზი თუ არა?

ბრალდებული ინალ-იპა — მართალს ამბობს იმ მხრივ, რომ ის მართლაც ჩავიდა გუდაუთის რაიონში, მაგრამ სტყუის იმაში, რომ იგი იქ ჩავიდა როგორც დამამშვიდებელი. მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს გამოსვლა მოწყობილი იყო ჩვენს მიერ და თვითონაც ამ აჯანყებაში მონაწილეობდა.

სახელმწიფო ბრალმდებელი—ბრალდებულო ჩალმაზ, კიდევ რას გვეტყვით თქვენი მავნებლური საქმიანობის შესახებ?

ჩალმაზი—აქ ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს მე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მავნებლობის მეტს არაფერს ვაკეთებდი. ეს სწორი არაა. ბევრი კარგი საქმეც გამიკეთებია, მაგრამ გამიკეთებია იმიტომ კი არა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ერთგული ვიყავი, არამედ მეშინოდა საკუთარი თავისა. ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ ვიცავდი ღარიბების ინტერესსაც.

თავმჯდომარე — მაინც რა საბოლოო მიზანს ისახავდა თქვენი ორგანიზაცია?

ჩალმაზი — ჩვენი საბოლოო მიზანი, მოქალაქე მოსამართლენო, იყო კოლმეურნეობების ლიკვიდაცია, კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაცია, აფხაზეთის გამოთიშვა სსრ კავშირიდან, გლეხებისათვის მიწების ჩამორთმევა და მემამულეებისათვის გადაცემა. ჩვენ ამ მიზნების შესახებ ყველას არ ვეუბნებოდით. ვიცოდით, რომ ამით დავაფრთხობდით იმ ორიოდე გარეწარსაც რომლებიც ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობაში ჩავაბით. ჩვენ გვძულდა საბჭოთა ხელისუფლება, გვძულდა კომუნისტური პარტია. ნესტორ ლაკობა ჩვენს წრეში ყოველთვის ცუდად იხსენიებდა ლენინსა და სტალინს. აქებდა და ადიდებდა ტროცკის. მე ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ვფარავდი.

სახელმწიფო ბრალმდებელი—გქონდათ თუ არა თქვენ კავშირი მგალობლიშვილთან, კოხალეიშვილთან და ხალხის სხვა მტრებთან?

ჩალმაზი — პირადად მე არავითარი კავშირი არ მქონია.

სახელმწიფო ბრალმდებელი ითხოვს სასამართლოს წაიკითხოს გ. მგალობლიშვილის ჩვენება მეოთხე ტომში, გვერდი 884. მდივანი კითხულობს ხალხის მტრის მგალობლიშვილის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მან 1935 წელს, აფხაზეთში ჩამოსვლისას, მტკიცე კავშირი გააბა ბრალდებულ ჩალმაზთან და მასთან ერთად დასახა სხვადასხვა კონტრრევოლუციურ-მავნებლური ღონისძიებების განხორციელება აფხაზეთში.

თავმჯდომარე — ამ ჩვენების შესახებ რას იტყვით, ბრალდებულო ჩალმაზ?

ჩალმაზი — ვერაფერს...

სახელმწიფო ბრალმდებელი — ახლა ეს გვიამბეთ, როგორ იყო, რომ თქვენ ცაკ-ის თავმჯდომარედ უნდა აერჩიეთ ხალხის მტრებს?

ჩალმაზი — როცა ნესტორ ლაკობა მოკვდა, ჩვენში ამან დიდი მწუხარება და დაბნეულობა გამოიწვია. რამდენიმე დღის შემდეგ მე, ზანთარიამ, ანატოლ ვარდანიამ, მიხეილ ლაკობამ და კიდევ რამდენიმემ, თავი მოვიყარეთ და დავიწყეთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ახლა ცაკ-ის თავმჯდომარედ. გვინდოდა, რათა აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარედ ყოფილიყო ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. მიზანი გასაგებია. ყველამ სთქვა, რომ ცაკ-ის თავმჯდომარედ უფრო შესაფერისი ვიქნებოდი მე. უარი არ მითქვამს. მაგრამ, სანამ ამ საკითხს საბოლოოდ გადავწყვეტდით, ცაკ-ის ახალი თავმჯდომარე უკვე წამოაყენეს და, ამხაირად, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დაგვეწყო მზადება, გაგვეშალა წინასწარი აგიტაცია, რომ არჩევნების დროს აფხაზეთის ხელმძღვანელად ხალხს აერჩიე მე. ეს აგიტაცია ჩვენ უკვე დავიწყეთ, მაგრამ არ დაგვცალდა. შინსახკომმა ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია გახსნა.

სახელმწიფო ბრალმდებელი—გვითხარით, რატომ ებრძოდით თქვენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და რატომ გძულდათ ლავრენტი ბერია?

ჩალმაზი — იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტი და ლავრენტი ბერია ხელს გვიშლიდნენ მავნებლური მუშაობის წარმოებაში, არ გვაძლევდნენ გასაქანს და ძალაუნებურად გვაკეთებინებდნენ პარტიისა და ხელისუფლებისათვის სასარგებლო და ჩვენს საზიანო საქმეს.

მოსკოვში ჩვენ წარმომადგენლად გვყავდა ვინმე სანდრო ურიდია. ამ ურიდიას მტკიცე კავშირი ჰქონდა პიატაკოვთან და კამენევთან და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი გვეხმარებოდნენ მოსკოვიდან.

ბრალდებული ლადარია—(სთხოვს სასამართლოს ნება მისცეს შეეკითხოს ბრალდებულ ჩალმაზს. სასამართლო ნებას აძლევს). გვითხარით, ჩალმაზ, ვინ იყო თქვენი ავტორიტეტი, ნესტორ ლაკობა, პარტიის საოლქო კომიტეტი თუ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ჩალმაზი — ჩვენი ავტორიტეტი იყო ნესტორ ლაკობა, იმიტომ რომ საოლქო კომიტეტში მასავით გავლენიანი კაცი არ იჯდა.

ბრალდებულ სეიდ ეჟიგის-ძე ებჟნოუს დაკითხვა

ბრალდებულ ებჟნოუს დაკითხვა მიმდინარეობს აფხაზურ ენაზე. სეიდ ებჟნოუ გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვას მცხოვრებია. უკანასკნელად იგი მუშაობდა კოლმეურნეობა „ხუდარას“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. მისი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ებჟნოუ მავნებლურ კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩააბა ნესტორ ლაკობას ძმამ მიხეილ ლაკობამ, რომელიც აფხაზეთში ერთერთი ყველაზე უფრო შენიღბული და გამოჩენილი კონტრრევოლუციონერი იყო.

— ერთხელ,—აჩვენა სასამართლოს ებჟნოუმ,—მიხეილ ლაკობას შევხვდი სოხუმში, მივესალმე და გამოვკითხე ოჯახის ამბები. ლაკობამაც გამომკითხა ოჯახის ამბები და წინადადება მომცა მივსულიყავი მასთან დაწესებულებაში. რომ მივედი, დამიწყო საუბარი იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაა ახლა ქვეყანაზე და ამავე დროს გამომკითხა, თუ რა ხდება ჩვენს კოლმეურნეობაში. მე მას ვუამბე ჩვენი კოლმეურნეობის ვითარება და გავაცანი ჩემი შეხედულება, რომ მაინცდამაინც დიდი მომხრე საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლისა არ ვიყავი. მაშინ მიხეილ ლაკობამ პირდაპირ მომცა დავალება: როგორც კი დაბრუნდე კოლმეურნეობაში, გასწიე აგიტაცია, რომ კოლმეურნეებმა ერთგულად არ იმუშაონ, სიბეჯითე არ გამოიჩინონ, გააფუჭონ და გაატიალონ საკოლმეურნეო დოვლათიო და სხვ.

თავმჯდომარე — მერე რა ჰქენით, შეასრულეთ მიხეილ ლაკობას დავალება?

ბრალდებული ს. ებჟნოუ — ვასრულებდი. როგორც კი დავბრუნდი კოლმეურნეობაში, იმ დღიდანვე დავიწყე აგიტაცია. კოლმეურნეებს ვაქეზებდი და ზოგიერთი მათგანიც მიჯეროდა. ეს ის დრო იყო, როცა ყურძენი უნდა მოგვეკრიფნა. შევუდექით ყურძნის კრეფას, დავკრიფეთ ერთი ჰექტარი ვენახი და ნაკრეფი ყურძენი დავყარეთ მინდვრად. შემდეგ, როცა ყურძენი მარანში უნდა წაგველო, საქმე ისე მოვაწყე, რომ მთელი კოლმეურნეობა გზის სამუშაოზე გავიყვანე, ყურძენი მინდვრად დავტოვე და იგი მთლიანად გაფუჭდა.

თავმჯდომარე — რამ გააფუჭა ყურძენი?

ებჟნოუ — ღამით წვიმა მოვიდა და გაფუჭდა. ამინდს ცუდი პირი უჩანდა და სწორედ ამიტომ მოვაწყე იმ დღეს გზის სამუშაო. გარდა ამისა, მიხეილ ლაკობას დავალებითვე ჩავშალე სიმინდის თესვის გეგმა. 50 ჰექტარის მაგიერ სიმინდი დავთესეთ მხოლოდ 25 ჰექტარზე. გავაფუჭეთ 2.300 კილო თამბაქო და სხვ.

თავმჯდომარე — რა მონაწილეობას ღებულობდით გუდაუთის ამბებში?

ებჟნოუ — ბრალდებულმა ჩალმაზმა აქ სიცრუე სთქვა, თითქოს მე ამ აჯანყების ერთერთი ხელმძღვანელი ვიყავი. უსწავლელი კაცი ვარ. როცა ხალხი შეგროვდა და გამოსვლისათვის ემზადებოდა, მეც იქ ვიყავი. გამომიძახა მაშინ რამდენიმე კაცმა და დამავალეს სიტყვით გამოვსულიყავი. მეც მათი დავალება შევასრულე. ნესტორ ლაკობამ კი მხოლოდ ამ ამბების შემდეგ გამიცნო.

თავმჯდომარე — მაშ რათ იმალებოდით, თუ მეტი დანაშაული არ გქონდათ, ამისათვის ხომ არ დაგსჯიდათ ხელისუფლება?

ებჟნოუ — დაპატიმრებისა შემეშინდა და ამიტომ გავექეცი ხელისუფლებას და ვიმალებოდი. ჩემთან ერთად 20 კაცი იმალებოდა. შემდეგ გავიგე, რომ ნესტორ ლაკობას კაცი გამოეგზავნა ჩემს მოსაძებნად. გამოგზავნილი კაცი ცაკ-ის წევრი იყო. მან მითხრა: გამოდი, ნუ გეშინიან, მიდი ნესტორ ლაკობასთან, გიბარებსო. მივედი ლაკობასთან და მან მითხრა—წადი ახლა სახლში, ნუ გეშინიან ხელს ვერავინ გახლებს და იმუშავეო.

სახელმწიფო ბრალმდებელი—ბრალდებულო ებჟნოუ, რა სთქვით თქვენ მაშინ, როცა სიტყვით გამოხვედით გუდაუთელ აჯანყებულებში?

ებჟნოუ — მე მაშინ გამოვედი ანტისაბჭოთა სიტყვით. მოვითხოვე, რომ კოლმეურნეობები დაეშალათ, წისქვილები ყოფილი მეპატრონეებისათვის გადაეცათ, გადასახადები არ გადაეხდევინებინათ და სხვ. ამ კონტრრევოლუციური გამოსვლის ხელმძღვანელი მე კი არა, კადირ ბენია იყო. ეს კადირ ბენია ყოფილი კულაკია, მას მაშინ სამი ათას სულამდე რქიანი საქონელი ჰყავდა. მე არ ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი, მაგრამ მათ მითხრეს, და მათი ეს მოთხოვნა შევასრულე. მე ვთქვი ანტისაბჭოთა სიტყვა. სიტყვით გამოსვლა დამავალა მეორე კულაკმა ჯაფარ გულბამ.

სახელმწიფო ბრალმდებელი — არ განინტერესებდათ გაგეგოთ, თუ ვინ იყო ამ კონტრრევოლუციური გამოსვლის ორგანიზატორი?

ებჟნოუ — იქ ამბობდნენ, რომ ყველა ამ ამბების ორგანიზატორი ნესტორ ლაკობა არისო. ამას ამბობდა კადირ ბენია და სხვებიც. ამბობდნენ აგრეთვე, რომ ნესტორ ლაკობა აქ ჩამოვაო. ამ გარემოებამ ყველა წაგვათამამა. მე მაშინ ვიცოდი, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, რომლის ხელმძღვანელი ნესტორ ლაკობა იყო, მე არ დამიჭერდა და არ დამსჯიდა, მაგრამ მეშინოდა იმისი, რომ თბილისიდან ჩამოსულები დამაპატიმრებდნენ.

თავმჯდომარე — თუ კი ნესტორ ლაკობას არ იცნობდით, რა იცოდით, რომ იგი თქვენ არ დაგსჯიდათ? (ამ კითხვის პასუხს ბრალდებული ებჟნოუ ვერ პოულობს).

სახელმწიფო ბრალმდებელი — ვინ იყო თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მონაწილეობას ღებულობდა თუ არა იგი მავნებლურ მუშაობაში?

ებჟნოუ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო შერიფ გიცბა, იგი ღებულობდა მონაწილეობას მავნებლურ მუშაობაში და მასთან ერთად ჩვენ ვანიავებდით საკოლმეურნეო დოვლათს. მივითვისეთ 1981 კილოგრამი სიმინდი, გავანადგურეთ 37 ცენტნერი საკოლმეურნეო თივა, დავკალით კოლმეურნეობის კამეჩი და სხვ. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია რომ ჩვენვე მივითვისეთ 336 ლიტრი ღვინო, ეს სწორი არაა.

სახელმწიფო ბრალმდებელი — კიდევ რა საშუალებებით გინდოდათ გამოგეწვიათ მოსახლეობის უკმაყოფილება?

ებჟნოუ — მიხეილ ლაკობა გვაძლევდა დავალებას, რომ დაგვეწყო კოლმეურნეთა დაჯარიმება შრომადღეების გამოკლებით. ჩვენ ამ დავალებას ვასრულებდით და ზოგჯერ კოლმეურნეს ვართმევდით 30—40 შრომადღეს. ამით ხალხში დიდი უკმაყოფილება იქმნებოდა, მაგრამ ჩვენ თავს ვიმართლებდით და ვამბობდით, რომ ასეთია პარტიისა და ხელისუფლების დავალებაო.

ამით დამთავრდა მეორე სხდომა. ბრალდებულ ებჟნოუს დაკითხვა გაგრძელდა 31 ოქტომბრის დილის სხდომაზე.

31 ოქტომბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულ ინალ-იპას დაკითხვა. ბრალდებულმა სასამართლოს მოუთხრო იმ ტერორისტულ აქტებზე, რომლებსაც აწყობდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები მოსკოვის პარალელური ცენტრის — პიატაკოვის დავალებით და ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით. ტერორისტულ ჯგუფში შედიოდნენ ინალ-იპა, მიხეილ ლაკობა, ჩალმაზი, ვლადიმერ ამფარი, ანტონ ფილია, ბარციცი, აშხაცავა, კიუტი, არნაუტი და ჯერგენია. ტერორისტული ჯგუფის სხვა მონაწილენი ბრალდებულმა ვერ გაიხსენა.

ბრალდებულმა აუწერა სასამართლოს, თუ როგორ აწყობდნენ ტერორისტულ აქტს ბელადის წინააღმდეგ. 1934 წელს სტალინი ისვენებდა სოჭში და იქიდან ჩამოვიდა გაგრაში, სადაც მას ხშირად ნახულობდა ნესტორ ლაკობა. აგვისტოს ბოლოს, ლაკობას გადმოცემით, სტალინი უნდა წასულიყო ცივწყაროზე. ლაკობამ გამოიძახა ტერორისტები, მოუყარა ექვს კაცს თავი და დაავალა მათ ტერორისტული აქტის შესრულება. ტერორისტები შეიკრიბნენ, მოვიდა ნესტორ ლაკობაც, და გაიმართა თათბირი ამ საშინელი განზრახვის სისრულეში მოყვანაზე. თავდასხმის გეგმა დაამუშავა და ტერორისტებს გააცნო ნესტორ ლაკობამ. აქ იყვნენ ტერორისტები ინალ-იპა, კიუტი, ვასილ ლაკობა, ფილია, პლატონ ბარციცი და ჯერგენია. ლაკობას გადმოცემით, მეორე დღეს სტალინი ბერიასთან ერთად წავიდოდა ცივწყაროზე. გზაში ერთერთ მოსახვევთან ჩასაფრებული იქნებოდნენ ტერორისტები. სტალინისთვის უნდა ესროლნათ ინალ-იპას და კიუტს, ბერიასთვის — ვასილ ლაკობას და ჯერგენიას. დანარჩენი ტერორისტები მეორე ადგილზე იყვნენ ჩასაფრებული იმისთვის, რომ თუ პირველნი ვერას გახდებოდნენ, მათ შეესრულებინათ ტერორისტული აქტი.

დანიშნული დროისთვის, როცა აქტი უნდა შესრულებულიყო, მოვიდა კოკისპირული წვიმა და ამან შეუშალათ ხელი.

მეორედ, 15 დღის შემდეგ, ნესტორ ლაკობამ ხელახლა ჩაასაფრა ხალხი მიუსერის გზაზე. მაშინაც წვიმამ ჩაშალა მტრების შავბნელი განზრახვა. მესამედაც ჩასაფრდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა ისევ მოულოდნელმა წვიმამ შეუშალათ ხელი.

ნესტორ ლაკობა ნერვიულობდა და ბრაზობდა ტერორისტული აქტების ჩაშლის გამო. მან გამოუძახა ინალ-იპას და დაავალა ბერიას მოკვლა.

— რატომ მაინცდამაინც მე მავალებთ ამას, როცა ვკითხე, ამბობს ინალ-იპა, — ნესტორ ლაკობამ მითხრა:

— შენ მასთან დაახლოვებული კაცი ხარ, გიცნობს და ადვილად შეძლებ დავალების შესრულებასო.

ამავე დროს მე ვიცოდი, რომ თბილისში ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის შესრულება დავალებული ჰქონდა შლატერს, ხოლო მოსკოვში სანდრო ურიდიას უნდა მოეწყო თავდასხმა ბერიაზე.

მეორე ბრალდებულმა ვასილ ლაკობამ დაადასტურა ინალ-იპას ჩვენება და აღნიშნა, რომ ნესტორ ლაკობას სიკვდილის შემდეგ მიხეილ ლაკობასთან გაიმართა ტერორისტების თათბირი და გადასწყვიტეს განეგრძოთ მუშაობა. თბილისში ტერორისტული დავალებანი ჰქონდათ დომენიას და შლატერს. გამხეცებული ტერორისტები, როცა აქტები ვერ შეასრულეს, ფიქრობდნენ საჭმელი მოეწამლათ და ბელადისთვის შეეტყუებინათ. ამისი ნესტორ ლაკობას შეეშინდა, ვაი თუ მეც მოვიწამლოო, აკრძალა საჭმლის მოწამვლა. შემდეგ მხეცებმა ასწერეს კატარღისათვის სროლის აქტების ამბავი. ინალ-იპამ და ვასილ ლაკობამ ბევრი ილაპარაკეს მავნებლობის მეთოდებსა და ფაქტებზე.

პირსისხლიანი მიხეილ ლაკობა ყველა ძირითად ბრალდებაზე უარს ამბობდა და ცდილობდა ტერორისტული ჯგუფისაგან გამიჯვნას. შემდეგ, როცა მას წარუდგინეს მისივე წინა ჩვენებები და დაუპირდაპირეს სხვა ბრალდებულები, მიხეილ ლაკობა იძულებული გახდა ეღიარებინა ყველაფერი. მიხეილ ლაკობას ჩადენილი აქვს მრავალი მკვლელობა. ყველას, ვინც მას გზაზე გადაეღობებოდა, იგი ჰკლავდა დაქირავებული ბანდიტების ხელით. მისი მოწყობილი იყო ანჩაბაძის მოკვლა, მან მოაკვლევინა მილიციელი ერონინი, აქტიური პარტიელი სანგულია და მრავალი სხვა. მხეცი მიხეილ ლაკობა სისხლით ვერ ძღებოდა, სხვების ხელით ხალხს ხოცავდა და შემდეგ ამ დაქირავებულ მკვლელებს სპობდა, რომ მისი საშინელი დანაშაულობანი არ გამომჟღავნებულიყო.

როცა მკვლელობათა ჩადენაზე ბრალდებულმა უარი განაცხადა, მას წაუყენეს მოწმეები, რომლებმაც უკან დასახევი გზები გადაუჭრეს გარეწარ მიხეილ [illegible]

ეროვნული

ხალხის მტრები, ჯაშუშ-დივერსანტები, ფაშიზმის ცოფიანი ძაღლები, ქოფაკები შეუბრალებლად გავსრისოთ

გავაძლიეროთ სიფხიზლე

გუშინ საბჭოთა სასამართლოს ჩალმაზმა მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ მავნებლობდა ის, თუ როგორ ფიქრობდნენ მშრომელებისათვის კვლავ დაედგათ მონობისა და ჩაგვრის უღელი, თუ რას აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენი აყვავებული მიწა შერვაშიძეებისა, ვაჭრებისა და ხუცებისათვის გადაეცათ.

აღშფოთების გრძნობით ვისმენდი ლადარიას და ჩალმაზის სიტყვებს. ისინი ემყარებოდნენ ჩვენს კლასობრივ მტრებს, იმ ხალხს, რომლებიც დიდი ხანია დავამარცხეთ—კულაკებსა და ყოფილ თავადაზნაურებს. ეს შემთხვევითი როდი იყო. მტერი მტერს უთანხმდებოდა აყვავებული ქვეყნის გასანადგურებლად. რა არ თქვა ჩალმაზმა პროცესზე. იგი კულაკებს, ყოფილ თავადებსა და აზნაურებს საშუალებას აძლევდა გადამეტებით შეესრულებინათ განზრახ შემცირებული გეგმები, კოლმეურნეების უმრავლესობა კი, ხელოვნურად გადიდებული გეგმების გამო, ძალიან ხშირად ვერ ასრულებდა დავალებას. ჩვენ არა თუ მოკლებული ვიყავით ჯილდოს მიღების საშუალებას, სახელმწიფოს ვალიც კი გვედებოდა განზრახ გაზრდილი გეგმების წყალობით. პარტია ჩვენთვის ზრუნავდა, ეს საზიზღრები კი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ გვეგრძნო ეს დიდი ზრუნვა და დახმარება.

მავნებლობის შედეგად ჩვენს კოლმეურნეობას საზრდო სიმინდი არ მიუღია. ან როგორ მიიღებდა წლის სარჩოს, როცა სიმინდს გვალვაში გვათესინებდნენ და ცუდ სათესლეს გვაძლევდნენ.

ეს პროცესი ჩემთვის დიდი სკოლაა. მე ნათლად წარმომიდგა, თუ როგორ მუშაობდნენ ხალხის უბოროტესი მტრები. ეს დიდი გაკვეთილია, აქედან ყველა ჩვენგანმა უნდა გააკეთოს საჭირო დასკვნა. უნდა შეგვეძლოს მტრის გამოცნობა.

გაბრიელ პილოსიანი

კოლმეურნეობა „ლენინის გზის" თავმჯდომარე (გუდაუთის რაიონი)

1 ნოემბრის დილის სხდომა

1 ნოემბრის დილის სხდომაზე დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა და სასამართლო გადავიდა მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე. სხდომის დასაწყისს სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნით სასამართლო აქვეყნებს მიხეილ ლაკობას დავალებით მოკლულ კომუნისტის იაკობ სანგულია - მიხაილოვის ძმის მიხეილ სანგულიას ჩვენებას. მიხეილ ლაკობა წინა სხდომაზე უარჰყოფდა ამ მკვლელობაში თავის მონაწილეობას. მიხეილ სანგულიას ჩვენებიდან კი დასტურდება, რომ იაკობი მოკლულ იქნა ლაკობას დავალებით იმის გამო, რომ იგი ებრძოდა ლაკობას, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტს, მიწებით მოვაჭრეს.

შემდეგ დაკითხულ იქნა გაგრის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ჯერგენია. იგი აფხაზეთში მომქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. ეწეოდა მავნებლობას სოფლის მეურნეობის ხაზით და მონაწილეობდა სტალინისა და ბერიას მიმართ ტერორისტული აქტის მოწყობაში. ამ მეორე ბრალდებას ის კატეგორიულად უარჰყოფს, მაგრამ ბრალდებულებთან—ინალ-იპასა და ვასილ ლაკობასთან მისი დაპირდაპირების დროს ცხადი ხდება, რომ ისიც მონაწილე იყო ამ საზიზღარი აქტის მოწყობისა. ამის შემდეგ ის ვეღარ აზერხებს თავის დაძვრენას ამ მძიმე ბრალდებისაგან და იძულებული ხდება ყველა წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნოს.

ტერორისტულ ჯგუფში მათი მონაწილეობის გამოსარკვევად სასამართლო დამატებით ეკითხება ბრალდებულებს ინგელოვსა და ჩალმაზს. ირკვევა, რომ ინგელოვმაც და ჩალმაზმაც იცოდნენ ამ ჯგუფის არსებობა. თუმცა ჩალმაზი ამას კატეგორიულად უარჰყოფს, მაგრამ უშედეგოდ. მისი მონაწილეობა ბელადის მიმართ ტერორისტული აქტის მოწყობაში დადასტურებულია.

ბოლოს დაკითხულ იქნა ბრალდებული თურქია, აფხაზეთის არალეგალური კონტრრევოლუციური მენშევიკური ორგანიზაციის ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი, რომელიც 1929 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან და ნესტორ ლაკობამ შეგნებულად მოაწყო ცაკ-ში სამუშაოდ. დაკითხვიდან ირკვევა, რომ მენშევიკური ორგანიზაციის წევრები, სხვადასხვა დაწესებულებებში გაბნეულნი, ეწეოდნენ მავნებლობას მეურნეობის ცალკე დარგებში, მათ კავშირი ჰქონდათ თბილისის ორგანიზაციასთან და მისი მეშვეობით საზღვარგარეთულ ცენტრთან, რომელსაც აწვდიდნენ ეკონომიური ხასიათის ცნობებს. მენშევიკებმა იცოდნენ აფხაზეთში ტროცკისტული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა და მასთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. ნესტორ ლაკობა მათ მფარველობდა.

ამით დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა. დილის სხდომაზე დაკითხულ იქნენ მოწმეები ბუიუკპიანი და ციმცი. მათი ჩვენებებითაც ერთხელ კიდევ დასტურდება აფხაზეთში ნესტორ ლაკობას მეთაურობით არსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ძირგამომთხრელი მავნებლური და ტერორისტული საქმიანობა, მიმართული არსებული წესწყობილების დამხობისა და აფხაზეთის გადაქცევისაკენ ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს კოლონიად, კოლმეურნეობათა დანგრევისა და კულაკური კერძომესაკუთრეული კაპიტალისტური სისტემის აღდგენისაკენ.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტულ-საჯანყებო ჯაშუშური ორგანიზაციის პროცესის გამო მოწვეული მუშათა მიტინგი ავჭალის თუჯის ქარხანაში.

ფოტო ბუდიშტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მტერი არ უნდა დავზოგოთ

30 ოქტომბერს კელასურის კოლმეურნეობა „წითელი მებოსტნის" წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია აფხაზეთში მომქმედი კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტულ - საჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის წევრთა საქმეზე.

— ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობაში—ამბობს ამხ. ალექსანდრე ქარდავა—მოკალათებული იყვნენ კოლმეურნეობების მავნებლები დ. მესხი, დ. ძაგანია, პ. ველიკოშაპკა და სხვები. მათი წყალობით 15 ოჯახი კოლმეურნეობის წევრის უფლებით სარგებლობდა, კოლმეურნეობაში კი არც ერთი მათგანი არ მუშაობდა.

იკარგებოდა კოლმეურნეობის საქონელი, ირღვეოდა შრომის დისციპლინა და მცირდებოდა შემოსავალი. კოლმეურნეები აღშფოთებული ვიყავით, მაგრამ რას გავხდებოდით, როდესაც მავნებლებს მხარს უჭერდნენ ხალხის მტრები ჩალმაზი, გაბუნია, ლადარია და სხვები.

კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა ამხ. ძაბა კინკიამ სთქვა:

— ხალხის მტრები განზრახ გადიდებულ გეგმებს გვაძლევდნენ, რაც იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას და გეგმების შეუსრულებლობას.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეებმა ნ. დანელიამ, კ. კარტოზიამ, ყ. ჯახვამ, ნ. წოწორიამ და სხვებმა მოითხოვეს მშრომელი ხალხის მტრების—მ. ლაკობას, მ. ჩალმაზის, კ. ინალ-იპას, ვ. ლადარიას და სხვების დახვრეტა.

დაიხვრიტონ!

(თელავი, საკ. კორესპონდენტისაგან)

გუშინ თელავის მშრომელებმა, სახელდახელო მიტინგებზე გაეცნენ რა აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური, ტერორისტულ-საჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა მ. ი. ჩალმაზის, მ. ა. ლაკობას, კ. პ. ინალიპას, ვ. კ. ლადარიასა და სხვათა შესახებ გამოქვეყნებულ საბრალდებო დასკვნას, გამოსთქვეს თავიანთი გულისწყრომა, ზიზღი და სიძულვილი ამ საძაგელ ქვეწარმავალთა, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა მიმართ.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ - ტექნიკოსთა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „კონტრრევოლუციონერ - დივერსანტთა მავნებელი საქმიანობის საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, კიდევ უფრო თავდადებით ვიბრძოლებთ ახალი მიღწევების მოსაპოვებლად, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ სტახანოვურ მოძრაობას, ავამაღლებთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს და გავაცამტვერებთ ხალხის მტრის ნაბოლარებს, რომელთაც სურთ ჩვენი მშვენიერი მზიანი ქვეყნის დაღუპვა, რომელნიც ვერ ძღებიან მშრომელი ხალხის სისხლით".

მუშათა კლასის დიქტატურის მახვილი ბასრია და განგმირავს ყველას, ვინც კი აღმართავს ხელს ჩვენ საყვარელ სამშობლოს წინააღმდეგ.

ფაბრიკის მუშები და მოსამსახურეები ერთსულოვნად მოითხოვენ ხალხის მტრების დახვრეტას.

გავანადგუროთ ქვეწარმავალნი

ხალხის სამსჯავროს წინაშე უკვე წარსდგა აფხაზეთში მომქმედ ყაჩაღთა ხროვა, რომელიც წლების განმავლობაში შენიღბული მავნებლობდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ეს არამზადები დიდ ზიანს აყენებდნენ სოფელ კოჩარის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობასაც, რომლის წევრიც მე ვარ.

ჩვენი კოლმეურნეობა უდიდესი ჩაის კოლმეურნეობაა ოჩამჩირის რაიონში. მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩაის კულტურა კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების საუკეთესო წყაროა. ისინი ცდილობდნენ ჩაეშალათ მუშაობა და ამ მიზნისათვის ჩვენს კოლმეურნეობაში სისტემატურად არღვევდნენ ჩაის კულტურის აგროწესებს. პლანტაციების გამარგვლა, მინერალური სასუქის შეტანა და ჩაის ფოთლის კრეფა შეუფერებელ დროს ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა თამბაქოსათვის გამოსადეგი მიწები, მიწსახკომმა შარშან ძალით მოგვახვია 18 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის გაშენების გეგმა. სამაგიეროდ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც კარგი სათამბაქოე მიწები ჰქონდათ, თამბაქოს ნაცვლად ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმები მისცეს.

უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოსაგან ჩვენი კოლმეურნეობის სახელით მოვითხოვ ამ მავნებლების აღგვას დედამიწის პირისაგან.

ცაცა ქარდავა

ორდენოსანი კოლმეურნე

საკოლმეურნეო წყობილების უბოროტესი მტრები

მე აღშფოთებით ვუსმენდი ბანდიტების ჩვენებას. ძნელია ყველა დანაშაულის ჩამოთვლა, რომლებიც მათ ჩაიდინეს მშრომელების წინააღმდეგ.

გუშინწინ მე ვუსმენდი ბრალდებულ ლადარიას და ჩალმაზის დაკითხვას. მათ აღიარეს, რომ ცდილობდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მშრომელი მასების ამხედრებას და აჯანყების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება! წარსულისაკენ დაბრუნება არ იქნება!

საზიზღარი ჩალმაზი ცდილობდა ჩვენი კოლმეურნეობის დანგრევას. მას ჰყავდა თავისი დამქაშები, რომლებიც ხელოვნურად ჰქმნიდნენ დაბრკოლებებს, რომ დაემტკიცებინათ კოლექტიური შრომის გამოუსადეგრობა.

1936 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვმუშაობდი. მავნებლური გეგმების შესახებ ჩალმაზს ვაცნობე, მაგრამ მან პროვოკატორად მომნათლა და მეორე დღესვე მომხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. ეს თვალთმაქცები ყოველმხრივ ავიწროვებდნენ და სდევნიდნენ კოლმეურნეებს, ხოლო მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ კულაკებს.

აურაცხელია მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. სასამართლო მათ შესაფერ სასჯელს მიუსჯის. დახვრეტა ხალხის მტრებს—ასეთია ჩვენი მოთხოვნა.

იროდი მიქაია

კვიტაურის სოფსაბჭოს თავმჯდომარე (ოჩამჩირის რაიონი)

ხალხის მტრები უნდა გაისრისონ

26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, მოისმინა რა ინფორმაცია აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთა მ. ი. ჩალმაზის, მ. ა. ლაკობას, კ. პ. ინალ-იპას, დ. ი. ჯერგენიას, ვ. დ. ლაკობას, ვ. კ. ლადარიას და სხვათა მავნებლურ - დივერსიული მუშაობის შესახებ, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ქარხნის კოლექტივი ერთხმად მოითხოვს სასამართლოსაგან ამ ქვეწარმავალთა მოსპობას. ჩვენ აღშფოთებული ვართ ამ გამყიდველ ფაშისტ - ტროცკისტ ქვეწარმავალთა ბილწი მოქმედებით, სამშობლოსათვის ღალატით. ისინი მიზნად ისახავდნენ წაერთმიათ დიადი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვარელი, რაც ჩვენ ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა — საბჭოთა ხელისუფლება...

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს ოქტომბრის 20 წლისთავს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებს. მოვუწოდებთ ყველას რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ, შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო ამაღლებისაკენ".

ძაღლური სიკვდილი ხალხის მტრებს

(ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის მშრომელები უდიდეს აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოსთქვამენ საზიზღარ ქვეწარმავალთა, ტროცკისტ - მავნებელთა, ჯაშუშ - დივერსანტთა — მ. ჩალმაზის, მ. ლაკობას და სხვათა მიმართ, რომლებსაც სურდათ მშვენიერი მზიანი აფხაზეთი გაენადგურებინათ, ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

— ჩვენი პასუხი ხალხის უბოროტესი მტრების მიმართ,—განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მუშამ ამხ. ივ. თევდორაძემ, — იქნება ცხელი ტყვია, არავითარი შებრალება, არავითარი ლმობიერება მათ! სიკვდილი ხალხის უბოროტეს მტრებს!

აბრეშუმის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე გამოსული სტახანოველი მუშები — ამხ. გაგნიძე, ზ. სირმანი, ქ. დადუნაშვილი, თ. რუხაძე და სხვ. ზიზღით იხსენიებდნენ ფაშიზმის პირსისხლიან აგენტებს, რომლებიც ენით გამოუთქმელ სისაძაგლეს სჩადიოდნენ აფხაზეთში საკოლმეურნეო მშენებლობის დასანგრევად, რომელნიც ცდილობდნენ მშრომელთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სიცოცხლის ხელყოფას, რომლებმაც განიზრახეს სტალინის საუკეთესო მოწაფის, სოციალისტური საქართველოს სახელოვანი ხელმძღვანელის ლ. ბერიას სიცოცხლის ხელყოფა.

— ზიზღი და ძაღლური სიკვდილი ხალხის მოსისხლე მტრებს! საბჭოთა მართლმსაჯულებას ვთხოვთ ამ საზიზღართა მიმართ გამოიყენოს სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა, — ნათქვამია აბრეშუმის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში.

ვ. აივაზოვი

სსრ კავშირის სახ. საგეგმო კომისიის თანამშრომელი

სსრ კავშირი—მძლავრი მრეწველობის ქვეყანაა

„მძიმე მრეწველობა — სოციალიზმის ძირითადი ბაზაა"

(ლენინი)

პროლეტარულმა დიქტატურამ მიიღო „მემკვიდრეობად ძველი დროისაგან ტექნიკურად ჩამორჩენილი და ნახევრადმათხოვრული, გაჩანაგებული ქვეყანა" (სტალინი). უპირატესი ადგილი ჩვენს ქვეყანაში უკავათ უწვრილეს გლეხურ მეურნეობებს, რომელთა შორისაც მსხვილი მრეწველობის საწარმოები ისე მოსჩანდნენ, როგორც კუნძულები ზღვაში. მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის დიქტატურა ეკონომიური საკომანდო მწვერვალებს დაეუფლა, კაპიტალიზმის ფესვები სსრ კავშირში სწორედ ამ წვრილ სასაქონლო მეურნეობაში დარჩა შენახული. „სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ,—ამბობდა ლენინი,—კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის". კაპიტალიზმის ეს ფესვები რომ ამოგვეთხარა, ამისთვის არსებობდა ერთი საშუალება: „გადაგვეყვანა ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, აგრეთვე მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ბაზაზე" (ლენინი). მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ჩვენს ქვეყანაში შეგვექმნა მძლავრი მძიმე მრეწველობა, „ვინაიდან მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია რეკონსტრუქცია უყოს და დააყენოს ფეხზე მრეწველობაც მთლიანად, ტრანსპორტიც და სოფლის მეურნეობაც" (სტალინი).

მძიმე მრეწველობის სასწრაფოდ შექმნისა და განვითარების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო აგრეთვე იმით, რომ სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას უპირისპირდებოდა კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვა. და იმისათვის, რომ არ დავმორჩენილებოდით კაპიტალისტურ ქვეყნებს, საჭირო იყო დავწეოდით და გაგვესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ, უზრუნველგვეყო სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობა, გაგვემტკიცებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

მძიმე მრეწველობის შექმნა ჩამორჩენილ, დანგრეულ ქვეყანაში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, უდიდეს სიძნელეთა გადალახვას მოითხოვდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის გმირული ძალღონით, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, სსრ კავშირში შეიქმნა მძიმე მრეწველობა, რომელიც იზრდება და ვითარდება.

მძიმე მრეწველობის პირველი ყლორტები ლენინის უშუალო ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით იზრდებოდა. აღფრთოვანებით მიესალმებოდა რა პირველი ბრძმედების აღდგენას სამხრეთში, პირველ ელექტროსადგურების გაშვებას და სხვ., ლენინი ყველა ამ პატარა ფაქტებში მძლავრი აყვავების დასაწყისს ხედავდა. ამჩნევდა რა მძიმე მრეწველობის პირველ ნაბიჯებს და აფასებდა რა მათ მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ლენინი 1922 წელს სწერდა, რომ „მაშასადამე, წარმატება შესაძლებელია, წარმატება უკვე **არის**... ჩვენ სხვის დაუხმარებლად გამოვალთ მდგომარეობიდან".

მეფის რუსეთში უახლესი იმპერიალიზმი წინაკაპიტალისტურ ურთიერთობათა ხშირი ქსელით იყო გარემოცული. რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის სამრეწველო განვითარება ხდებოდა კაბალური სესხებისა და კონცესიების ხარჯზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინდელი რუსეთი რჩებოდა აგრარულ ქვეყნად, რომლის მრეწველობაც შედარებით სუსტად განვითარებული იყო. მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 42,1 %, საწარმოო საშუალებათა წარმოება — მრეწველობის მთელი პროდუქციის 42,7 %. როგორც ლენინი აღნიშნავდა, რევოლუციის წინადროინდელი მრეწველობის პროდუქცია ცხრაჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ამერიკული მრეწველობის, მუშის ხელფასი—ოთხჯერ ნაკლები, შრომის ნაყოფიერება—სამნახევარჯერ ნაკლები. მეფის რუსეთი თანამედროვე საწარმოო იარაღებით ოთხჯერ უფრო ცუდად იყო შეიარაღებული, ვიდრე ინგლისი, ხუთჯერ უფრო ცუდად, ვიდრე გერმანია და ათჯერ უფრო ცუდად, ვიდრე ამერიკა.

მხოლოდ დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ, რომელმაც კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება დაამხო, გახსნა გზა რუსეთის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის დაძლევისათვის და მძიმე მრეწველობის ნამდვილი აყვავებისათვის—გზა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა.

სამოქალაქო ომის წლებში დასრულდა მძიმე მრეწველობის ნაციონალიზაცია. მძიმე მრეწველობის მუშაობამ ამ პერიოდში საგრძნობლად განსაზღვრა სამოქალაქო ომში სრული გამარჯვების მიღწევა და მრეწველობის ძირითადი პროლეტარული კადრების შენარჩუნება. ინტერვენციამ, ბლოკადამ, საწარმოთა ევაკუაციამ, რაიონებს შორის სამეურნეო კავშირის გაწყვეტამ—ყოველივე ამან გამოიწვია მძიმე მრეწველობის უდიდესი დანგრევა და მისი წარმოების დაცემა. მიუხედავად ამისა, ამ მძიმე წლებში იქნა აგებული მძიმე მრეწველობის პირველი ახალი საწარმოები (კაშირის, შატურის სადგურები და სხვ.) და ათვისებული მთელი რიგი ახალი საწარმონი. სამოქალაქო ომის ამავე წლებში დამუშავდა პირველი ერთიანი სამეურნეო გეგმა—ლენინურ-სტალინური „გოელროს" გეგმა, რომელმაც მრავალმილიონიან მასებს ნათელი რევოლუციური პერსპექტივა გადაუშალა და სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის აგების უტყუარი გზა უჩვენა. „გოელროს" გეგმით აღებული იყო მტკიცე კურსი იქითკენ, რომ შექმნილიყო მძიმე მრეწველობა, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხერხემალს წარმოადგენს.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქვეითებამ სამოქალაქო ომის წლებში (1920 წელს საწარმოო საშუალებათა წარმოება შეადგენდა 1913 წლის დონის 19 %), აუცილებელი ნედლეულისა და სასურსათო წანამძღვარების უქონლობამ არ მოგვცეს საშუალება მაშინვე გადაგვეტანა სიმძიმის ცენტრი მძიმე მრეწველობაზე—გადავსულიყავით ქვეყნის პირდაპირ ინდუსტრიალიზაციაზე. ამიტომ ლენინმა მიგვითითა, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ფუნდამენტის აშენება, ინდუსტრიის აშენება ჩვენ უნდა დავიწყოთ სოფლის მეურნეობიდანო. ამასთანავე ლენინი მოითხოვდა, რომ ყოველი მცირეოდენი დანაზოგი შეგვენახა ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარებისათვის.

მხოლოდ 1925 - 1926 წ. ახორციელებს პარტია, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პირდაპირი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკისაკენ. საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში და საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვებში ამხანაგი სტალინი ასაბუთებს იმას, რომ შესაძლებელი და აუცილებელია სიმძიმის ცენტრის გადატანა მძიმე მრეწველობაზე, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობაზე და ამასთან მისი იმგვარად განვითარება, რომ ადგილი არ ექნეს მრეწველობის ჩამოშორებას სოფლის მეურნეობიდან და უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება.

ამ სტალინური გეგმის გატარება კვლავ დაეჯახა ტროცკისტებისა და კაპიტალიზმის რესტავრატორთა და ბურჟუაზიულ მავნებელთა უსასტიკეს წინააღმდეგობას.

არ სწამდათ რა გლეხობის მიზიდვა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ტროცკისტები წინადადებას იძლეოდნენ ინდუსტრიალიზაცია გაგვეხორციელებინა გლეხობის გაძლიერებული შევიწროების ხარჯზე, რაც სინამდვილეში გამოიწვევდა ინდუსტრიალიზაციის საფუძვლის დანგრევას და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩაშლას. შანინი, სოკოლნიკოვი და სხვები საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ინდუსტრიალიზაციის სტალინურ გეგმას უპირისპირებდნენ ჩვენი ქვეყნის აგრარული ხასიათის შენარჩუნების რესტავრატორულ გეგმას. კაპიტალიზმის მემარჯვენე რესტავრატორები, რომელნიც თავიანთ გეგმას საფუძვლად უდებდნენ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარებას, საქმით იცავდნენ კულაკობის ინტერესებს, გამოდიოდნენ მძიმე მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპების წინააღმდეგ, მოითხოვდნენ მრეწველობის განვითარებას „ჩითიდან".

ტროცკისტებსა და მემარჯვენეებს უკავშირდებოდნენ ბურჟუაზიული ეკონომისტ-მავნებლები. ისინი ამტკიცებდნენ უცხო კაპიტალის მიზიდვის აუცილებლობას მძიმე მრეწველობის გასავითარებლად, ცდილობდნენ მსოფლიო კაპიტალიზმზე სსრ კავშირის დამოკიდებულების შენარჩუნებას და მძიმე მრეწველობის განვითარების შესაფერხებლად პირდაპირ მავნებლობასა და დივერსიებს მიმართავდნენ.

მაგრამ კაპიტალიზმის ამ მოსყიდულმა ხროვამ ვერ მოახერხა მძიმე მრეწველობის ძლევამოსილი განვითარების შეჩერება. მძიმე მრეწველობის გაშლა პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითად რგოლს წარმოადგენდა. პირველი ხუთწლედის შედეგად სსრ კავშირი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაიქცა. მძიმე მრეწველობის საწარმოო დახმარების საფუძველზე პირველი ხუთწლედის მანძილზე გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

მეორე ხუთწლედში მძიმე მრეწველობის წინაშე დაისვა ამოცანა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების უზრუნველყოფის შესახებ. მიუხედავად კაპიტალიზმის მემარჯვენე და ტროცკისტული რესტავრატორების—ფაშიზმის ამ პირდაპირი აგენტების, მავნებელთა, დივერსანტთა და ჯაშუშთა ბანდის—წინააღმდეგობისა, მძიმე მრეწველობამ, აღმოცენებულ სტახანოვურ მოძრაობაზე დაყრდნობით, მეორე ხუთწლედის გეგმა წარმოების დარგში ოთხსა და ერთი მეოთხედი წლის განმავლობაში შეასრულა.

*

მძიმე მრეწველობის შექმნისა და განვითარებისათვის ოცი წლის შეუპოვარ ბრძოლას ტყუილად როდი ჩაუვლია. მძიმე მრეწველობა, რომლითაც საბჭოთა კავშირი ოქტომბრის 20 წლისთავს ხვდება,—ეს არის პროლეტარული დიქტატურის მტკიცე დასაყრდნობი ბაზა, სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველი, სახალხო მეურნეობაში ტექნიკის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების მყარი ფუნდამენტი.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი და ფაქტი.

საწარმოო საშუალებათა წარმოების მოცულობა 1936 წელს 10,4 ჯერ აღემატება რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის წარმოებას მისი უდიდესი ეკონომიური აღმავლობის პერიოდში (1913 წ.). შედარებით 1920 წელთან, რომლის დონიდანაც დაიწყო სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის აღდგენა, საწარმოო საშუალებათა წარმოება გაიზარდა თითქმის 50-ჯერ. განვლილია გიგანტური გზა, თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ, რომ კაპიტალისტურმა მსოფლიომ 1936 წელს მრეწველობის პროდუქციის მხრივ 1913 წლის დონეს მხოლოდ 40 პროცენტით გადააჭარბა.

სსრ კავშირის მძიმე მრეწველობამ წარმოების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში, ხოლო მეორე ადგილი—მსოფლიოში. მანქანებისა და მოწყობილობის მოხმარება სსრ კავშირში 1936 წელს თითქმის 30 ჯერ აღემატება რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის დონეს. ამასთან მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტი 1936 წელს შეადგენდა შინაგანი მოხმარების 2,5 %, ნაცვლად 42,4 პროცენტისა 1913 წელს. საბჭოთა კავშირი სავსებით დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ.

საწარმოო საშუალებათა წარმოება 1936 წელს უდრიდა მრეწველობის მთელი პროდუქციის 59%, ხოლო მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება კი—25,7% (ნაცვლად 6,8 პროცენტისა 1913 წ.). ამგვარად, მანქანათმშენებლობამ წამყვანი ადგილი დაიკავა სამრეწველო წარმოებაში. უზომოდ გაიზარდა ელექტროენერგიის, სათბობი მასალის, ლითონისა და ქიმიის წარმოება. შეიქმნა ათეულობით ახალი დარგები და ასეულობით ახალი საწარმოები მძიმე მრეწველობაში. აგებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მძიმე მრეწველობის ახალი მსხვილი ცენტრები, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სსრ კავშირის ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზას—ურალკუზნეცის კომბინატს.

მძიმე მრეწველობა, რომლითაც საბჭოთა კავშირი ოქტომბრის 20 წლისთავს ეგებება, შეიარაღებულია მძლავრი ტექნიკით. ეს ახალი მძიმე მრეწველობა თითქმის მთლიანად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში. ახალმა ქარხნებმა 1936 წელს მოგვცეს საწარმოო საშუალებათა მთელი პროდუქციის 87, 4 %.

უზომოდ გაიზარდა მძიმე მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერებამ 1936 წელს გადააჭარბა 1913 წლის დონეს მძიმე მრეწველობის ყველა დარგში 3,3 ჯერ, ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში—3,5 ჯერ, ქიმიაში—2,3 ჯერ, ნავთის მრეწველობაში—4,8 ჯერ, ნახშირის წარმოებაში—2,1 ჯერ, თუჯის წარმოებაში—3,1 ჯერ. მძიმე მრეწველობამ მეორე ხუთწლედში უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

კაპიტალიზმის რესტავრატორებს, ფაშიზმის საზიზღარ დაქირავებულთ სურდათ დაერღვიათ ჩვენი სახალხო მეურნეობის—მძიმე მრეწველობის მძლავრი გულისცემა. მაგრამ არავის შეუძლია ისტორია უკუღმა შემოატრიალოს, შეაჩეროს ძლევამოსილი წინსვლა საბჭოთა კავშირისა, რომელმაც ძირითადად ააშენა სოციალისტური საზოგადოება და მიემართება კომუნიზმის გზით.

ესპანეთის სოციალისტური და კომუნისტური პარტიების წერილი კომუნისტური და მეორე ინტერნაციონალისადმი

ვალენსია, 30 ოქტომბერი (საქდესი). ესპანეთის კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა კომინტერნს და II ინტერნაციონალს მიმართეს წერილით, სადაც ამახვილებენ ყურადღებას ასტურიის ხალხის მძიმე მდგომარეობაზე. წერილში აღნიშნულია, რომ „ფაშისტებმა მოახერხეს დაეძლიათ ასტურიელი მეომრების გმირული წინააღმდეგობა მხოლოდ მეამბოხეთა და ინტერვენტთა ჯარების რიცხობრივი უპირატესობის და ძლიერი შეიარაღების გამო. ათასობით უმწეო ქალები, მოხუცები და ბავშვები იმყოფებიან ამჟამად პირსისხლიანი ფაშიზმის ხელში, რომელიც უსწორდება მამაც ასტურიელებს. კომუნისტურსა და მეორე ინტერნაციონალს შეუძლიათ აქტიური დახმარება აღმოუჩინონ ასტურიაში ფაშისტური ტერორის შეწყვეტის საქმეს და ათასობით ძვირფასი სიცოცხლის გადარჩენას. „ჩვენ პირობას ვძლევვით,—ნათქვამია წერილში,—რომ რესპუბლიკელები დაიპყრობენ მთელ ესპანეთს. მაგრამ ჩვენი საბოლოო გამარჯვება უფრო მალე მოხდება, თუ ჩვენ დაგვეხმარება და მხარს დაგვიჭერს საერთაშორისო პროლეტარიატი".

ესპანეთის კომუნისტური და სოციალისტური პარტიები მიმართავენ კომუნისტურსა და მეორე ინტერნაციონალებს თხოვნით მოიწვიონ ორივე ინტერნაციონალის თათბირი, რათა სასწრაფო ზომები მიიღონ ერთიან მოქმედებათა ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლოდ ცალკეულ ქვეყნებში და საერთაშორისო მასშტაბით.

წერილი ხელმოწერილია ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ხოზე დიასის და სოციალისტური პარტიის მდივნის ლამონედის მიერ.

ესპანეთის მთავრობის დროებითი გადასვლა ბარსელონაში

ვალენსია, 31 ოქტომბერი (საქდესი). დღეს გამოქვეყნებულია დეკრეტი მთავრობის ადგილსამყოფელის ბარსელონაში დროებით გადატანის შესახებ.

ამის გამო ესპანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ბარსელონაში გადასვლის იდეა ეკუთვნის წინანდელ მთავრობას. ვალენსიაში მთავრობის ყოფნა გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ მოეწყოთ ცენტრალური და აღმოსავლეთის ფრონტთა მომარაგება და გამაგრება. ამ ამოცანების შესრულების პროცესში ვალენსია მეტად ვიწრო ხდებოდა. მთავრობის გადასვლის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბარსელონა არის ესპანეთის მთავარი ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაში და მრეწველობის ცენტრი, რომელიც ომს უნდა ემსახუროს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე იყო. გულითადი ურთიერთობა, რაც გამეფებულია მთავრობასა და გენერალიდალს (კატალონიის მთავრობა) შორის, ხელს შეუწყობს კატალონიის მთელ შესაძლებლობათა გამოყენებას.

რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიის ყრილობის რეზოლუციები

პარიზი, 31 ოქტომბერი (საქდესი). 29—30 ოქტომბერს ლილში გრძელდებოდა რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიის ყრილობის სხდომები.

საგარეო პოლიტიკის საკითხის განხილვისას ყრილობამ მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის ივონ დელბოსის გამოსვლა. დელბოსი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ზოგიერთი სახელმწიფოს" ინტერვენციამ ესპანეთში, რაც საფრთხეს უქმნის „საფრანგეთის ერთერთი საზღვრისა და ჩრდილო-აფრიკასთან საფრანგეთის მიმოსვლის გზების უშიშროებას, შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა, მიუხედავად საფრანგეთის მშვიდობისმოყვარეობისა, არ შეიძლება დაუსრულებლივ გაჭიანურდეს დაწყებული მოლაპარაკება ესპანეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ".

საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ლაპარაკია ომის მუქარაზე, რომელიც თავს დასწოლია მსოფლიოს, და იმ საფრთხეზე, რომელშიც იმყოფებიან საფრანგეთის ტერიტორიები და საკომუნიკაციო ხაზები.

ეხება რა ესპანეთის მდგომარეობას, რეზოლუცია მოითხოვს უცხოეთის ყველა იმ ჯარის გამოწვევას, რომლებიც ესპანეთის ტერიტორიაზე მოქმედებენ, და აცხადებს, რომ ჩაურევლობის პოლიტიკა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ უცხოეთის ყველა ჯარი იქნება გამოწვეული ესპანეთიდან.

საერთო პოლიტიკის შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში რადიკალ-სოციალისტების პარტიამ აღნიშნა ის გამარჯვება, რაც სახალხო ფრონტმა უკანასკნელი საკანტონო არჩევნების დროს მოიპოვა, და სახალხო ფრონტის შემადგენლობაში შემავალ სხვა პარტიებს მოუწოდა, დაიცვან რესპუბლიკური დისციპლინა.

დღეს ყრილობამ დაასრულა თავისი მუშაობა.

მღელვარება საფრანგეთის მაროკოში

პარიზი, 31 ოქტომბერი (საქდესი). რაბატში (საფრანგეთის მაროკო) არაბი ნაციონალისტები ცდილობდნენ მოეწყოთ დემონსტრაცია მეჩეთიდან გამოსვლისას. 30 ოქტომბერს ფეცში არაბმა ნაციონალისტებმა, რიცხვით 700 კაცმა, მოაწყეს დემონსტრაცია მეჩეთის შენობაში. ჯარებმა დაიკავეს არაბთა უბნები და გარს შემოერტყნენ უნივერსიტეტს, სადაც ჩასაფრებული იყო რამდენიმე ასი არაბი.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, მღელვარება საფრანგეთის მაროკოში მოწყობილი იყო არაბთა ნაციონალისტური პარტიის მიერ გადატრიალების მოწყობის მიზნით და ახალი მთავრობის გამოსაცხადებლად მეფის მეთაურობით. ნავსადგურ ლიოტეიში დაპატიმრებულთა დაკითხვასთან დაკავშირებით გამორკვეულ იქნა, რომ დემონსტრაციათა მონაწილე 400 არაბი მოსყიდული ყოფილა.

საფრანგეთის პრესას ფრიად სერიოზულად მიაჩნია საფრანგეთის მაროკოში შექმნილი მდგომარეობა. გაზეთი „ეპოკეი" იუწყება, რომ იტალიის რადიოსადგური ბარიში (იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთში) ავრცელებდა არაბთა შორის ცილისმწამებლურ ანტიფრანგულ პროპაგანდას.

„ლუმანიტე" აყენებს მოთხოვნას, რომ მთავრობამ უარი სთქვას სასტიკ რეპრესიებზე არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ და ენერგიული ზომები მიიღოს ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტი აგენტების წინააღმდეგ.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მაროკოს ხელისუფალთ გამოაქვეყნეს დადგენილება ხელფასის 40 პროცენტით გადიდების შესახებ ადგილობრივი მუშებისათვის კასაბლანკის, მექნესის, რაბატის რაიონებსა და ლიოტეის ნავსადგურში. სხვა რაიონებში ხელფასი გადიდებული იქნება 20 პროცენტით. ხელფასის გადიდება მოხდება პირველ ნოემბრიდან.

მიტინგი მშვიდობიანობის დასაცავად

პარიზი, 31 ოქტომბერი (საქდესი). პარიზში გაიმართა მიტინგი ესპანელი ხალხის დასაცავად, საფრანგეთისა და მშვიდობიანობის დასაცავად. მიტინგს დაესწრო 30.000 კაცი. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ბიუისონმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„ჩაურევლობის" ტრაგიკული ფარსი გრძელდება. საჭიროა ესპანეთს დაუბრუნდეს თავისუფალი ვაჭრობის უფლება".

შემდეგ გამოსულმა კაშენმა ამხილა „ჩაურევლობის" პოლიტიკის გაკოტრება და ხაზი გაუსვა, რომ ესპანეთს იხსნის მხოლოდ ესპანეთის ანტიფაშისტური ძალების მოქმედებათა ერთიანობა. კაშენმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა საზიზღარი გამცემლური მუშაობა ტროცკისტი აგენტებისა, რომელნიც ფაშიზმისაგან სუბსიდიებს ღებულობენ. მიტინგზე გამოსული კატალონიის მთავრობის მრჩეველი კომორერა და რესპუბლიკური კორტესების დეპუტატი—ქალი მარგარიტა ნელკენი მიესალმნენ პარიზის მშრომელთ. თავისი სიტყვის დასასრულს, რამაც მხურვალე ტაში გამოიწვია, მარგარიტა ნელკენმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფაშიზმი ომს აწარმოებს არა მარტო ესპანეთის წინააღმდეგ, არამედ საფრანგეთის წინააღმდეგაც.

ანდრე მარტიმ მოუწოდა მოქმედებათა საერთაშორისო ერთიანობისაკენ.

მიღებულია რეზოლუცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ესპანელ ხალხს და მოითხოვს გერმანიის პროლეტარიატის ბელადის ამხ. ტელმანის განთავისუფლებას, რომელიც ფაშისტურ საპყრობილეში იტანჯება.

მეამბოხეთა თვითმფრინავმა ჩასძირა ინგლისის გემი

პარიზი, 31 ოქტომბერი (საქდესი). ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 30 ოქტომბერს დილით 16 მილის მანძილზე ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ინგლისის გემ „ჯინ ვიმსს" თავს დაესხა ესპანელ მეამბოხეთა თვითმფრინავი. დაღუპულ გემზე მყოფი 26 კაცი აიყვანა ორმა მაშველმა გემმა. ისინი იმ დღესვე ჩავიდნენ პალაფრუგელში (ხერონის პროვინციაში). ჩასულთა შორის არის საზღვაო კონტროლის სამსახურის ორი მეთვალყურე, რომელნიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებდნენ „ჯინ ვიმსზე". ინგლისის გემის კაპიტანმა განაცხადა, რომ გემს თან მიჰქონდა მარცვლეული და შესქელებული რძე.

ესპანელი ფაშისტების სისხლიანი თარეში

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საქდესი). ესპანეთის საელჩომ გამოაქვეყნა ბასკების ქვეყნის წარმომადგენლის დონ ხოზე დე ლიზასის განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩრდილო ესპანეთის დაპყრობის შემდეგ, მეამბოხეებმა დახვრიტეს ბასკების ქვეყნის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრებლები. სიკვდილით დასჯა მიესაჯათ და დახვრეტილია 600 რესპუბლიკელი ოფიცერი და მთავრობის დაწესებულებათა მუშაკი, აგრეთვე 27 ლტოლვილი—ქალი, რომლებიც ამასწინად დაბრუნდნენ საფრანგეთიდან.

პოლონელი გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა

ვარშავა, 30 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „ვეჩურ ვარშავსკი" ათავსებს სტატიას, სადაც აწერილია პოლონეთის გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა. გაზეთი სწერს:

„ჩვენმა გლეხმა გაღატაკების შედეგად პირდაპირ ხელი აიღო ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. გლეხი არ ყიდულობს საჭირო საცვალს, ზედა ტანსაცმელს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, აღარ ხმარობს შაქარს, საპონსა და სხვ. მისი მატერიალური სახსრები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მას შეუძლია იფიქროს მხოლოდ კვებაზე. გლეხი ხომ აუცილებლობის გამო უბრუნდება კავსა და ფარცხს ორთქლისა და ელექტრონის საუკუნეში, გამოგონებათა და ტექნიკური პროგრესის ხაზით განსაკუთრებული ტემპების საუკუნეში. ნაცვლად წინსვლისა პროგრესის საერთო მიმდინარეობასთან ერთად, პოლონეთის სოფელი მიექანება საშუალო საუკუნეებისაკენ, როდესაც გლეხი თვითონ ამზადებდა ყველაფერს, რაც მას ცხოვრებისათვის სჭირდებოდა".

„ჩრდილოეთის პოლუსის" სადგური

მოსკოვი, 31 ოქტომბერი (საქდესი). 31 ოქტომბერს დღის 1 საათზე „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგურის კოორდინატები იყო შემდეგი: ჩრდილოეთის განედის 84 გრადუსი და 6 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 3 გრადუსი და 7 წუთი.

სადგურის რაიონში იყო სუსტი ძირა ქარი, მცირე მაღალღრუბლიანობა, ტემპერატურა 7 გრადუსი ნოლს ქვემოდ. ხილვადობა აღემატებოდა 50 კილომეტრს. ჰქროდა დასავლეთის 4 ბალიანი ქარი.

მიღწევები ჩაის ფოთლის დამზადებაში

„საქჩაის" ტრესტი დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს დიდი მიღწევებით ხვდება. ყველა სახის ჩაის დამზადების გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით არის შესრულებული. მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა გეგმის შესრულების შემდეგ აიღეს ახალი ვალდებულებანი ჩაის კიდევ უფრო გადამეტებით დამზადებისათვის; მაგალითად, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობამ 20 წლისთავთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება, რომ დაამზადებს 20 ტონა ჩაის ფოთოლს, ჯოგეჯიანის მეურნეობამ კი იკისრა 10 ტონის დამზადება.

საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის ქარხნებში მიღებულ ვალდებულებებს, რომ პირნათლად ასრულებენ, ამას ადასტურებენ ჩაის დამზადების უკანასკნელი ცნობები. 25 ოქტომბრისათვის საქართველოში დამზადებულია 27.112.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმის 110,7 პროც. გასული წლის ამავე დროისათვის კი დამზადებული იყო 19.281.900 კილოგრამი —გეგმის 100,2 პროცენტი. მარტო ოქტომბერში დამზადებულია 1.613.700 კილოგრამი—თვიური გეგმის 271,3 პროცენტი.

„საქჩაი" მიმდინარე წელს ამზადებს უმაღლესი ხარისხის ჩაის: „საქართველოს თაიგულს" და „ექსტრას".

25 ოქტომბრისათვის „საქართველოს თაიგული" დამზადებულია 12.392 კილოგრამი, „ექსტრა" — 27.949 კილოგრამი. „საქართველოს თაიგულის" დამზადების გეგმა შესრულებული აქვს ჩაქვის მეურნეობას 81,6 პროცენტით, ლაითურისას —66,4 პროც. და სალიბაურისას — 57,5 პროცენტით. „ექსტრას" —გეგმა შესრულებული აქვთ ზუგდიდის მეურნეობას—111 პროცენტით, ნასაკირალისას—103 პროც. ლაითურისას—78,3 პროცენტით, სალიბაურისას—53,5 პროცენტით. ჩამორჩენილია ჩაქვი—25 პროც. და ქობულეთი 6 პროც.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჩაის დამზადების ტემპები უფრო და უფრო იზრდება, რაც უზრუნველჰყოფს მიღებულ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებას.

კ. გოგიბერიძე

საზეიმო კონცერტი დიდ თეატრში

ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში ეწყობა კონცერტი რომელზედაც შესრულებული იქნება საბჭოთა კავშირის ხალხთა რჩეული მუსიკალური ნაწარმოებები.

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტმა საქართველოდან კონცერტზე მიიწვია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მომღერალი პეტრე ამირანაშვილი.

თბილისის ზოოპარკში შესასვლელი. უკან მოსჩანს ახალი 100 ბინიანი საცხოვრებელი კომბინატის მშენებლობა.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

3 ნოემბერს, დღის 4 საათზე, ამხ. ლ. ბერიას სახელობის თბილისის სტადიონზე შესდგება ამხანაგური შეხვედრა. თამაშობენ მოსკოვის „ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდი და თბილისის „დინამოს" ოსტატთა დუბლიორები.

თბილისის „დინამო" გამოდის შემდეგი შემადგენლობით: მეკარე—ბუშნონი, დაცვა — ჭუმბურიძე და ნიკოლაიშვილი, ნახევარდაცვა—გაგუა, ფროლოვი და კიკნაძე, თავდასხმა — აფრიდონიძე, ჯეჯელავა, ლოლაძე, ვ. ბერძენიშვილი და გავაშელი.

„ლოკომოტივის" შემადგენლობაში მოსალოდნელია მცირე ცვლილება.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა დაიწყება დღეს, 2 ნოემბერს, დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ალიოხინი—ეივე

ამსტერდამი, 31 ოქტომბერი (საქდესი). ალიოხინისა და ეივეს მატჩის მეთერთმეტე პარტია 30 სვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 7:4 ალიოხინის სასარგებლოდ.

ხელოვნება

„ესმერალდა"

ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გვიჩვენა ბალეტი „ესმერალდა", რომლის ლიბრეტო დაწერილია ვ. ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" სიუჟეტზე. მუსიკა პანი-გლიერისა, დადგმა ვ. ლიტვინენკოსი, მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი.

დამდგმელს და მხატვარს ბევრი შრომა დაუხარჯავთ რომ სპექტაკლის შინაარსი მარტივ, მაგრამ მხატვრულ ფორმებში ეჩვენებინათ. სხვა საბალეტო სპექტაკლებთან შედარებით, „ესმერალდაში" აქტიორებს მოეთხოვებათ არა მარტო საცეკვაო ტექნიკის მაღალი დონე, არამედ მაღალი აქტიორული ხელოვნებაც.

ვიდრე ცალკე შემსრულებლებზე გადავიდოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ სპექტაკლის ცალკე მომენტებზე. კარგად არის გაფორმებული 1 აქტის პირველი სურათი (ტაძარი) და მთლიანად მეორე აქტი. ძალიან კარგია მეშვიდე სურათი (კლოდის მოჩვენებანი). შედარებით სუსტად არის ნაჩვენები პარიზი პერსპექტივაში. სათანადოდ ვერ არის გამოყენებული განათება. საჭიროა შემდეგი წარმოდგენებისათვის აღნიშნულ დეფექტს ყურადღება მიექცეს.

ცალკე შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დამს. არტ. ლილი გვარამაძე (ესმერალდა), რომელმაც გვიჩვენა არა მარტო ცეკვის ოსტატობა, არამედ მკაფიო აქტიორული ნიჭიც. ლიტვინენკომ და გორსკიმ თავისი თამაშით და ცეკვით ხელი შეუწყეს სპექტაკლის წარმატებას. საინტერესო სახე შექმნა გ. ბარხუდაროვმა (კვაზიმოდო) პატარა, ეპიზოდურ როლში.

კარგად იყო დადგმული და შესრულებული ბოშათა ცეკვა (ბაუერი, საფაროვა და ბუშინსკაია). ნიჭი და კარგი სკოლა გამოამჟღავნა ახალგაზრდა მსახიობმა ნადარეიშვილმა.

მშვენიერი იყო მ. ბულიგინა კამერისტკას როლში. თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოჩნდნენ ვოინოვა და იფაშკინი.

მთლიანად სპექტაკლი ლამაზი და ფეროვანი გამოვიდა. საჭიროა თეატრის დირექციამ მეტი ყურადღება მიაქციოს საბალეტო სპექტაკლების დადგმას. ამისათვის მას ჰყავს კარგი კადრები.

ვ. ს.

ბიბლიოგრაფია

ი. ტინიანოვი — „კუხლია"

ი. ტინიანოვის რომანი „კუხლია", რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ქართულ ენაზე, საუკეთესო საჩუქარია საბჭოთა [illegible] თავგანწირულ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ტინიანოვის რომანის მთავარი გმირი ვილჰელმ კუხელბეკერია, მაგრამ ეს ნაწარმოები მარტო ამ ადამიანის რომანიზირებული ბიოგრაფია როდია. რომანის ისტორიული ასპარეზი უფრო ფართოა: არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთი რეალისტური ფერებით არის დახატული რომანის ფურცლებზე.

ტინიანოვის რომანი — ეს ჩვეულებრივი ბელეტრისტიკა არ არის. ეს არის მაღალმხატვრულ ხარისხში აყვანილი ისტორიული დოკუმენტალური სინამდვილე. ამიტომ ამ რომანში ჩვენ ვერ ვხვდებით გამოგონილ კონფლიქტებს. რომანის გმირები — ცნობილი ისტორიული პიროვნებებია. რომანში გამოყვანილია რილეევი, რომელიც სახრჩობელაზე აიყვანა ნიკოლოზ პირველმა, პუშკინი და სხვები.

ი. ტინიანოვი მძაფრი ტრაგიკული ტონით მოგვითხრობს იმდროინდელი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და გლეხობის საშინელი ბედის შესახებ. „კუხლია" პოლიტიკური სინამდვილით და ფსიქოლოგიური სიღრმით დაწერილი რომანია.

საშინელია რომანის მთავარი გმირის — ვილჰელმ კუხელბეკერის ცხოვრება. იგი დაუდეგარი, მშფოთვარე ადამიანი, რომელიც ვერაგულად დაახრჩო ცარიზმმა.

შესანიშნავად არის აღწერილი ტინიანოვის რომანში ლიცეი, ახალგაზრდა ლიცეისტების დღენი და საქმენი. კარგადაა აღწერილი დეკაბრისტების აჯანყება, ნიკოლოზ პირველის სამეფო ტახტზე ასვლა, იმდროინდელი ლიტერატურული წრეები და სალონები, საიმპერატორო გვარდიის ოფიცრების ცხოვრება, ველური და სისხლიანი არაკჩეევშჩინა და სხვა.

რომანი განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის, ვინაიდან მასში ასახულია მაშინდელი დროის თბილისი, რუს მოხელეთა პოლიტიკა, კავკასიელ მთიელთა ბრძოლა და თბილისის მოქალაქეთა საქმიანობა.

„კუხლია" თარგმნილია ქართულ ენაზე **ქეთევან ირემაძის** მიერ.

მთარგმნელს სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია. წიგნს დართული აქვს სათანადო ილუსტრაციები.

გ. ნ—ლი

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები:

ლენინი და სტალინი—ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შესახებ, სტატიების კრებული. ფასი ყდით 5 მან.

ნ. აბუზოვი—გესტაპო, ფასი ყდით 45 კაპ.

ახალი ამბები

— **2 ნოემბერს,** საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტში შესდგება ძველი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელზედაც პროფ. კ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში".

შემთხვევები

— **ქურდობა.** 30 ოქტომბერს, დღისით, როცა დიასახლისი ნ. კუზმიჩევა (სასაკლაოს ქ. № 14) შინ არ იყო, უცნობმა პირმა მისი ბინიდან მოიპარა 4.000 მანეთის ნივთები. მილიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა ქურდი შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ხარკოვიდან ჩამოსული ვინმე ა. ი. ბაჩინსკი.

ბაჩინსკის საქმე გადაეცა სასამართლოს. მოქალაქე ნ. კუზმიჩევას დაუბრუნდა გატაცებული ნივთები.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

5/XI	პრემიერა წარმოდგენა 25. ნაპერწკლიდან
6/XI	წარმოდგენა 26. ნაპერწკლიდან
9/XI	წარმოდგენა 27. ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

25 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების ტალონების გაცემა. ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შემოტანილი მას ტალონები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში 12 საათიდან 4 ს.-მდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვანი კომედია ოქროს ტაიგა დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვ. ფილმი დიდი ქალაქის ჩირაღდნები დასაწყ 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ახალი ხმოვანი სურათი საბჭოთა სამშობლოსათვის დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი უკანასკნელი ღამე დასაწ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ახალი ხმოვანი კომედია ოქროს ტაიგა დასაწყისი 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	ხმოვანი ფილმი მოსკოვ—ვოლგა დასაწყისი 6-30
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი პეტრე I-ლი დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ., № 222	ხმოვანი ფილმი სამი ამხანაგი დასაწყ. 8 ს.
ახალი ამბები	ბედნიერი ბავშვობის ზეიმი

სახცირკი. ტელ. 3-11-44
2 ნოემბერს
განახლებული პროგრამა
ახალი გასტროლიორები
ალექსანდროვები სნაიპერები
ანტონიო ტურნისტები
ბარსტ
აკრობატები მოძრავი კიბით
და სხვა ნომრები.
დამსახ. არტ. ძმ. ტანტები
ახალი რეპერტუარით.
დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12—2 საათამდე და 5 საათიდან.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

2/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 16 ესმერალდა

ოპერა ლატავრას გენერალური რეპეტიციების გამო 3 და 4 ნოემბერს წარმოდგენები არ არის.
დასაწყისი 8 საათზე.

ა. ღ. ქლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ექიმი
ი. ბეგთაბეგი
დაბრუნდა
ჯორჯაძის ქ. № 5. 1739

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა გადასამზადებელ
კურსებზე
გრძელდება მსმენელთა მიღება.
ორჯონიკიძის ქ., № 49,
მე-26 სკოლა. 17432

საქხორცტრესტმა
ოქტომბრის დღესასწაულებისათვის
თავის საცალო ქსელში გააფართოვა საკუთარი წარმოების
გასტრონომიულ ნაწარმთა ასორტიმენტი

მუდამ არის საუკეთესო ხარისხის ახალი ძეხვი და ლორი.
ტრესტის საფირმო მაღაზიები თავისი სამზარეულოებიდან უშვებენ ყოველნაირ კულინარულ კერძებს, პიროჟკებსა და ნახევარფაბრიკატებს.
მიიღება წინასწარი შეკვეთები მყიდველთათვის საქონლის ბინაზე მისატანად
საცალო ქსელის საჩვენებელ მაღაზიებში
№ 2, კომინტერნის ქ. № 3 ტელ. 3-62-69
№ 3, ქორესის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხე, ტელ. 3-31-69 1274

საქართვ. მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
სამკერვალო ფაბრიკა № 6
თოდრიას ქუჩა (ყოფილი სომხის ბაზრის) № 22.

აცხადებს

შემკვეთლების საყურადღებოდ

რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტიუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 1 ოქტომბრისათვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა „მკერავგასაღებას" და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთების №№

432 668 1217 1255 1337 1341 1374 1370 1445 1446 1447 1452 1455 1459 1455 1459 1465 1472
1475 1483 1486 1490 1498 1499 1502 1506 1514 1522 1525 1582 1786 2465 2874 2912 2920
2937 2940 2944 2954 2977 3293 3363 3365 3376 3381 3382 3396 3408 3431 3432 3433 3499
3508 3514 3520 3521 3522 3524 3525 3526 3527 3665 3567 3576 3577 3582 3591 3592 3594
3598 3600 3608 3615 3617 3618 3619 3628 3633 3636 3637 3638 3646 3661 3663 4323 4328
4364 4519 4577 4631 4686 4790 4821 4825 4872 4901 4906 4914 4923 4925 4938 4945 4952
4956 4961 4977 4989 4997 5005 5642 5674 5679 5680 5696 5699 5700 5701 5707 5721 5724
5727 5729 2798 7145 7376 7451 7463 7477 7493 7497 7498 7503 7521 8223 8337 8353 8398
8418 8488 8450 8507 8527 8538 8543 8562 8566 8578 9271 9351 9356 9367 9369 9383 9399
9428 9441 9447 9457 9478 9480 9483 9494 13098 13123 13143 13165 13173 13189 13220 13223
13225 13231 13238 12239 14016 14031 14033 14036 15007 15017 15021 15024 15029 15039
15040 15050

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შალვრები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1 ოქტომბრისათვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოთ აღნიშნულ ვადაში.

1280

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61. სასოფლო მეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24. პ.-მგ. მდივნის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8132